ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 23 თებერვალი, 2021 №27 (8556) ფასი: 60 თეთრი

ყვარელში 73 წლის ქალი დააყაჩაღეს

გვ.5

19 წლის ა.ე. ჩოხატაურში დააკავეს

23 თებერვლიდან ქართული საბავშვო მოთხრობის ანთოლოგია

ტომი 2

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

„ივანიშვილის დავალებით გახარია პოლიტიკურ პარტიას ქმნის“

გვ.3

რამაზ საყვარელიძე: „ოპოზიცია დაუფიქრებლად და გაუაზრებლად მოქმედებს“

„გახარიას დაჭერას არ გამოვრიცხავ“

გვ.3

დავით კირკიტაძე: „ღარიბაშვილისგან სხვას არაფერს ველოდი. ის „ოცნებაშიც“ კი გამორჩეულია და დაძაბულობის შექმნას ცდილობს“

„ოპოზიციის უკანდახევა სწორი ნაბიჯია“

„მამუკა გამყრელიძე: „ივანიშვილს გახარია მიშვებული ჰყავდა, ელოდებოდა, ფეხი როდის დაუცდებოდა“

გვ.2

„საგარეჯოში 10 ჰექტარი მიწა არაბეთის მოქალაქემ იყიდა“

ნიკოლოზ მჟავანაძე: „ბევრმა არც იცის ის ფაქტი, რომელიც საგარეჯოში მოხდა“

გვ.4

პარლამენტმა ღარიბაშვილის მთავრობა დაამტკიცა

89 მომხრე, 2 წინააღმდეგი გვ.2

გვ.4

გიგლა ბარამიძე: „პოლიტიკოსებმა პირად ამბიციებს ქვეყანა არ უნდა გადააყოლონ“

გვ.5

ირაკლი ღარიბაშვილი: „სრული მხარდაჭერა ბატონ გომელაურს, სრული მხარდაჭერა თითოეულ პოლიციელს“

ISSN 1987-9385

2 ელისაშვილი: „ღარიბაშვილის მიერ ნაცმოძრაობის ლანძღვა ძალიან სახიფათოა“

2 ღარიბაშვილი: „მელია ჩვეულებრივი კრიმინალია, არარაობა გვარამია კი მედიის მამად გვევლინება“

5 „უცბად კაცი მანქანიდან გადმოხტა და მამი, მამი, არ მოკვდეო, ყვიროდა“ რა მოხდა რუსთავში

6 კონგოში იტალიის ელჩი ლუკა ათანასიო მოკლეს

თავდასხმა ამერიკულ ავიაბაზაზე

„ოპოზიციის უკანდახევა სწორი ნაბიჯია“

„მამუკა გამყრელიძე: „ივანიშვილს გახარია მიშვებული ჰყავდა, ელოდებოდა, ფეხი როდის დაუცდებოდა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს მამუკა გამყრელიძე პასუხობს.

– პატონო მამუკა, ვისმენთ შეფასებებს, რომ ქართულ პოლიტიკაში საინტერესო პროცესები დაიწყო. როგორია თქვენი შეფასებები? გახარიას წასვლის თაობაზე უამრავი ვერსია მოვისმინეთ. რას იტყვით ამ ყველაფერზე?

– გახარიას წასვლასთან დაკავშირებით ძალიან რთული სქემები დახატეს, თუმცა ქართული პოლიტიკა გვიჩვენებს, რომ ის არ არის რთული, პირიქით, ძალიან მარტივია, მუდმივად იმპულსურია და სიტუაციაზეა მიბმული. გიორგი გახარიამ ერთხელ უკვე აიღო საკუთარ თავზე ტვირთი და სიმძიმე იმ მოვლენების, რომლებიც 20 ივნისს მოხდა და მეორედ ამას აღარ გააკეთებდა.

– ანუ დაასწრო მოვლენებს და წავიდა?

– რა თქმა უნდა. ამას რომ გააკეთებდა ხელისუფლება, რად უნდა ლაპარაკი. ამაზე არაერთხელ გვისაუბრია კიდეც, რომ გიორგი გახარია უნდა ყოფილიყო განტევების ვაცი. ეს ღიად ჩანდა. გახარიამ კი ისეთი მომენტი იპოვა, რომ ამ სიტუაციიდან შესაძლებელი იყო ძალიან კარგად გამოსვლა და გამოვიდა კიდეც.

– წყლიდან მშრალი გამოვიდა?

– ზუსტად ასეა, თანაც, როგორც მივხვდი, მზადაც იყვნენ ვიღაც-ვიღაცები, იმიტომ რომ იმდენად მასირებული იყო ეს ლაიქების რაოდენობა მის ფოტოებზე, ასევე გამოჩნდა რამდენიმე ჯგუფი სოცქსელში მისი მეგობრების.

– ანუ ვიწრო წრისთვის ცნობილი იყო, რომ წასვლას აპირებდა?

– ჩემი აზრით, ეს ადამიანი რაღაცას ელოდებოდა, იცოდა, რომ ასე იქნებოდა. როგორც კი ეს მოხდა, იმწუთშივე ჩაირთო ეს მანქანა და გახარია ძალიან პოზიტიურ როლში წარმოჩნდა.

– მობრუნდება გახარია პოლიტიკაში? ამაზეც ბევრს საუბრობენ...

– არ ვიცი, ვერ გეტყვით. ეს ძალიან რთული საკითხია. გააჩნია, როგორი სიტუაცია შეიქმნება. დღეს პოლიტიკური ველი მკვეთრად არის გაყოფილი ნაცებად და ქოცებად, ოპოზიციად და ხელისუფლების მომხრეებად.

– მას შემდეგ, რაც ნიკა მელიას ირგვლივ ეს პროცესები განვითარდა, მთელი ოპოზიციური სპექტრი მის გარშემო გაერთიანდა. ალბათ, ამანაც შეუწყო ხელი, რომ მთლიან ოპოზიციურ სპექტრს ნაცებად მოიხსენიებენ. ასეა?

– კი, ასეა. მე ყველანაირად ვცდილობ, გავერიდო ამ შეფასებას, არ მიყვარს ეს ტერმინი, მაგრამ ხალხში ასე დამკვიდრდა. ნახეთ, როგორი სიტუაციაა, მათ არ ჰყავთ დიდი რაოდენობით მხარდამჭერი, არც ერთ მხარეს. დაახლოებით სურათი ასეთია – 30% ოცნებას, 20% – ოპოზიციას. ძალიან დიდი რაოდენობა კი არიან შუაშისტები, რომლებსაც არც ერთი არ მოსწონთ. აი, მაგალითად, მე ვარ ასეთი. ჩემი ბუნებითა და შინაგანი განწყობით ვარ შუაშისტი, არ მიყვარს რადიკალური აზროვნება.

– ანუ გახარია რომ მოვიდეს პოლიტიკაში ახალი პარტიით, შესაძლოა, გიხილოთ მის გვერდით?

– დავიწყოთ იმით, რომ გახარია გვერდში არ დამიყენებს და არც ჩემთვის იქნება მის გვერდით დგომა სასურველი. თუ ის დაბრუნდება პოლიტიკაში, შესაძლოა, მოახერხოს ამ შუა ნაწილის გაერთიანება, რომელიც საკმაოდ მაღალი პროცენტია. მას აქვს გამოცდილება სახელმწიფო სამსახურში მუშაობის, კარგად ინფორმირებულია, რა პროცესები მიმდინარეობს ქვეყანაში. ის იყო ბიზნესომბუდსმენი და საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს ბიზნესთან ურთიერთობის, კარგად იცის მათი წუხილი და სურვილები. ამ ადამიანს აქვს უნარი, შეეწინააღმდეგოს და ეს დავინახეთ რამდენიმეჯერ. ასევე უკანდახევაც იცის და, როცა საჭიროა, ბოდიშსაც იხდის. კომპრომისული ტიპია და შუაშისტებისთვის იდეალური ფიგურაა, არარადიკალური და გაწონასწორებული.

– ღარიბაშვილი რადიკალად მოიაზრება.

– რა თქმა უნდა. ის სუპერრადიკალია. ბიძინას უყვარს ასეთი ხალხი. გახარიას ეს არ ახასიათებს. თუ გახარია მობრუნდება, შესაძლოა, მას სერიოზული მხარდამჭერი ძალა გამოუჩნდეს ხალხში.

– ამ ცვლილებების შემდეგ, რომლებიც „ოცნებაში“ განხორციელდა, რას ველოდებით? უცებ გადახალისდა გუნდი, გვეყოლება ახალი პრემიერი. რამდენად რადიკალურ ღონისძიებებს გაატარებენ ოპოზიციის წინააღმდეგ? თითქოს ოპოზიციამაც უკან დაიხია, დაანონსებული აქცია გადაიდო. რა ხდება?

– ნაბიჯი, რომელიც ოპოზიციამ გუშინ გადადგა, ჩემი აზრით, ერთადერთი სწორი ნაბიჯი იყო. სიმართლე ვთქვათ, მელიას დასაჭერად მივლენ თუ ვინმე სხვის, ხალხი არ გამოცვივდება ქუჩაში და არ დაანგრევს ყველაფერს. რევოლუციური სცენარი ძალიან ნაკლებად არის მოსალოდნელი.

– ამიტომ დაიხია ოპოზიციამ უკან, მიხვდა, რომ ხალხი არ გაჰყვებოდა?

– დიახ, ასეა. სიტუაციის დაძაბვა კი ოპოზიციის იმიჯსაც დაარტყამდა დასავლეთის თვალში. არავინ თქვას, რომ მარტო რომელიმე მხარეს შეუტევენ ჩვენი პარტნიორები. ეს ტყუილია. მათ უნდათ მშვიდი, დალაგებული და პროგნოზირებადი სიტუაცია. ოპოზიციაც გაიღანძღებოდა და ხელისუფლებაც. მე ვფიქრობ, რომ ოპოზიციამ სწორი ნაბიჯი გადადგა, როდესაც უკან დაიხია, ბურთი გადააგდო ხელისუფლების მოედანზე. ახლა ხელისუფლება თუ მაინც აირჩევს ესკალაციის გზას, ეს მთლიანად მისი პასუხისმგებლობა იქნება.

– დაიჭერენ ნიკა მელიას? გახარიას წასვლამ დროებით შეაჩერა ეს პროცესი, თუმცა სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა აღსრულდეს. რა გამოსავალი აქვს ხელისუფლებას?

– ძალიან კარგად შეიძლება სამართლებრივი გზების გამოყენება. სიტუაციიდან გამოსაძრომი მუხლები არსებობს. შესაძლოა, ზედა ინსტანციაში წავიდეს, შესაძლოა, პროცესი ხანგრძლივად გადაიდოს. უამრავი გზა არსებობს. იურისტებში ვიკითხე და არის ამის გზები. შესაძლოა, გაიწელოს და ამ გაწელვის პროცესში მოხდეს მოლაპარაკება. ალბათ, ოპოზიციაც ხვდება, რომ უნდა შეცვალონ ტაქტიკა, რომ მარტო ქუჩაში დგომა არ არის პრაგმატული გადაწყვეტილება.

– პარლამენტშიც ხომ არ შევლენ?

– ბევრისგან მოვისმინე, რომ დაანონსებული აქციის გაუქმება ოპოზიციის კაპიტულაცია იყო. არავითარი კაპიტულაცია ეს არ იყო, პირიქით, ძალიან პრაგმატული ნაბიჯი იყო, თუმცა, თუ მოლაპარაკებებზე მოხდება ის, რომ ოპოზიცია იტყვის, მოდი, შევიდეთ პარლამენტში და ვადამდელი არჩევნები არ იქნებაო, აი, ეს ნამდვილად კაპიტულაცია იქნება. ახლა შესვლა ძალიან ცუდად გამოჩნდება ხალხის თვალში. მე კარგ გამოსავალს მაინც ვერ ვხედავ ამ სიტუაციიდან. ღარიბაშვილი ძალიან ხისტი პიროვნებაა. ის მთლიანად არის დამოკიდებული ივანიშვილზე. ივანიშვილს გახარია მიშვებული ჰყავდა, არ ერეოდა, ელოდებოდა, ფეხი როდის დაუცდებოდა, რომ მთლიანად მისთვის შეეწმინდათ ხელი, თუმცა არ გამოუვიდათ, დაასწრო გახარიამ და წავიდა, ღარიბაშვილი კი მთლიანად მასზე იქნება დამოკიდებული.

– იქნება ვადამდელი არჩევნები?

– ალბათ, ყველაზე პრაგმატული გადაწყვეტილება იქნებოდა მომავალ წელს ვადამდელი არჩევნები, ის, რაზეც „ლელო“ საუბრობდა, თუმცა მე არაერთხელ მითქვამს, რომ თუ არ შეიცვლება კანონმდებლობა, აბსოლუტურად აზრი არა აქვს არაფერს, არც ვადამდელს და არც ვადიანს. ასევე უნდა დაიწიოს ბარიერი, რადგან 5%-იანი ბარიერი ძალიან მაღალია. ასე მხოლოდ „ოცნება“ და ნაციონალები მოხვდებიან პარლამენტში. ბლოკების გარეშე 5%-იანი ბარიერი ოპოზიციური პარტიების 90%-სთვის გადაულახავია.

ღარიბაშვილი: „მელია ჩვეულებრივი კრიმინალია, არარაობა გვარამია კი მედიის მამად გვევლინება“

„პავილიონისის განცხადებები ჩემთვის მიუღებელი და შეურაცხმყოფელია“

გუშინ, 22 თებერვალს, საქართველოს პრემიერმინისტრობის კანდიდატი ირაკლი ღარიბაშვილი ლიეტუვის პარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის, ჟიგიმანტას პავილიონისის განცხადებებს გამოეხმაურა და მიუღებელი განცხადებებისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდა.

ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ ჟიგიმანტას პავილიონისის განცხადებები პირადად მისთვის და „ქართული ოცნების“ გუნდისთვის არაფერს ნიშნავს.

– ნაცმოძრაობასთან პირდაპირ დაკავშირებული ერთ-ერთი ქვეყნის, ამავდროულად, ჩვენი განსაკუთრებულად გამორჩეული მეგობარი ქვეყნის პარლამენტის ერთ-ერთი კომიტეტის თავმჯდომარის ასეთი განცხადებები არის ყოვლად მიუღებელი. ეს არის ყოვლად მიუღებელი სუვერენული, თავმოყვარე ქვეყნისთვის. მე მოვუწოდებ ამ ადამიანსა და მის მეგობრებს ჩვენი დესტრუქციული ოპოზიციიდან, რომ მაქსიმალურად მოკლე ვადაში დაამთავრონ ასეთი მიუღებელი განცხადებები.

ჩვენ ვართ სტუმართმოყვარე ქვეყანა, მაგრამ ასეთი სტუმრების შეურაცხყოფები ყოვლად მიუღებელია ჩვენთვის და აბსოლუტურად არაფერს ნიშნავს ამ ადამიანის განცხადებები პირადად ჩემთვის და ჩვენი გუნდისთვის.

მე ამ ადამიანს შევახსენებ, რომ ჩვენი გუნდი არის არჩეული ჩვენი მოსახლეობის მიერ. მოსახლეობამ გამოგვიცხადა ნდობა, რიგით მესამე მანდატი მოგვანიჭა, რომ გავაგრძელოთ ჩვენი ქვეყნის მართვა. შესაბამისად, არავის არ აქვს უფლება, მოგვიწოდონ გაუგებარი, უსამართლო განცხადებებით. არ შემეძლო ემოციების გარეშე ამ მიუღებელი ფაქტის უყურადღებოდ დატოვება, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მანვე პარლამენტში სიტყვის გამოსვლისას „მთავარი არხის“ გენერალურ დირექტორს, ნიკა გვარამიას, არარაობა და კრიმინალი უწოდა.

– ერთ-ერთი გამოკვეთილი დამნაშავე, კრიმინალი, არარაობა გვარამია გვევლინება მედიის მამად და ტელევიზიის დირექტორად. პროკურორი კაცი, რომლის დროსაც იმედის ძალადობრივი გზით დახშობა მისი ხელმძღვანელობით განხორციელდა. ამაზეა საუბარი, დღესაც აქ ვართ, სად გვინდა, რომ ვიყოთ ხვალ? – თქვა ღარიბაშვილმა.

მას არც ნიკა მელია დავიწყებია.

– ნიკა მელია არის ჩვეულებრივი კრიმინალი. ეს კრიმინალი გამოაცხადეს ახლა პარტიის თავმჯდომარედ და გვეუბნებიან, რომ მძიმე დანაშაულისთვის – ვგულისხმობ პარლამენტზე შტურმს – თურმე არ უნდა შევეხოთ. რომელ ქვეყანაში გინახავთ, ასეთი ტიპის მძიმე დანაშაულებისთვის ადამიანებს ინდულგენციებს აძლევდნენ? როდის ყოფილა, რომ პოლიტიკური პარტია გამხდარა ასეთი კრიმინალების თავშესაფარი? – იკითხა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ელისაშვილი: „ღარიბაშვილის მიერ ნაცმოძრაობის ლანძღვა ძალიან სახიფათოა“

– ღარიბაშვილის განცხადებები არ მიუთითებს, რომ ის რამე კომპრომისზე წასვლას აპირებს.

ამის შესახებ „მოქალაქეების“ ლიდერმა ალეკო ელისაშვილმა ჟურნალისტებთან განაცხადა.

კითხვაზე, რამდენად მოსალოდნელია ღარიბაშვილის განცხადებების ფონზე, რომ ნიკა მელია რამდენიმე საათში დააკავონ, ელისაშვილი აღნიშნავს, რომ არ იცის, რამდენ საათში შეიძლება ეს მოხდეს, თუმცა მიაჩნია, რომ ღარიბაშვილი განაგრძობს სიძულვილის ენით საუბარს, რაც ამ ქვეყნისთვის კარგი არ არის.

ელისაშვილი სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხეზეც მოუთითებს.

– ჩვენ მხოლოდ ორი ხმა გვაქვს, მაგრამ ჩვენ ორნი არ დავუჭერთ ამ მთავრობას მხარს, პირველ რიგში ღარიბაშვილის გამო. ამ ვითარებაში, როცა ქვეყანა ორ დაპირისპირებულ ბანაკს შორის იგლიჯება, „ქართულ ოცნებას“ უნდა წარმოედგინა ისეთი კანდიდატი, რომელიც შეძლებდა გონივრული ნაბიჯების გადადგმას, ოპოზიციასთან მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდომასა და ხალხის რეალურ პრობლემებზე ფიქრს. ღარიბაშვილი 180 გრადუსით ამის საპირისპიროა. ის არის ძალიან კონფრონტაციული, რადიკალური, მიაჩნია, რომ მთავარი არის, გულწრფელად სძულდეს ოპოზიცია. ეს, პირიქით, უფრო დაამძიმებს ვითარებას.

პოლიტიკური კრიზისი სამოქალაქო დაპირისპირების ზღვარზე ამყოფებს ქვეყანას და ამ ვითარებაში ნაციონალურ მოძრაობასთან მიმართებით ღარიბაშვილის რიტორიკა არის სახიფათო, წარმოდგენაც კი არ მინდა, როგორ შეიძლება, ასეთი რიტორიკითა და ქმედებებით განვითარდეს მოვლენები. მოლაპარაკებას ალტერნატივა არ აქვს და ყველას დანაშაულია, რომ მეხუთე რაუნდი ჰაერში გამოეკიდა, – აღნიშნავს ელისაშვილი.

პარლამენტმა ღარიბაშვილის მთავრობა დაამტკიცა

89 მომხრე, 2 წინააღმდეგი

გუშინ, 22 თებერვალს, საღამოს, პარლამენტმა მთავრობის განახლებულ შემადგენლობას მხარი დაუჭირა.

ირაკლი ღარიბაშვილის მეთაურობით სამთავრობო შემადგენლობას 89 დეპუტატმა დაუჭირა მხარი, წინააღმდეგი 2 იყო.

სამთავრობო გუნდში ორი ახალი სახეა – თავდაცვის მინისტრი ჯუანშერ ბურჭულაძე და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ირაკლი ქარსელაძე.

მთავრობის განახლებული შემადგენლობისათვის ნდობის გამოცხადების საკითხი 18 თებერვალს პრემიერის პოსტიდან გიორგი გახარიას გადადგომამ გამოიწვია, რაც პარტია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე ნიკა მელიასათვის აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის შეფარდების გადაწყვეტილებას მოჰყვა.

როგორც გახარიამ განაცხადა, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების საკითხზე მას და მმართველ გუნდს შორის აზრთა სხვადასხვაობა იყო.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

დავით კირკიტაძე: „გახარიას დაჭერას არ გამოვრიცხავ“

„ღარიბაშვილისგან სხვას არაფერს ველოდი. ის „ოცნებაშიც“ კი გამორჩეულია და დაძაბულობის შექმნას ცდილობს“

იაგო ნაცვლიშვილი

პარლამენტმა საქართველოს პრემიერ-მინისტრად ირაკლი ღარიბაშვილი დაამტკიცა. პარლამენტში მოსმენისას ღარიბაშვილის განცხადებებმა ხმაური გამოიწვია. ოპონენტების მისამართით მან ახსენა „დესტრუქციული ძალა“ და გამოიყენა ტერმინი „ტერორისტების თავშესაფარი“. ნიკა გვარამიასა და ნიკა მელიას მან დამნაშავეები უწოდა. პრემიერმა არც დასავლელი პარტნიორები დაინდო და ლიეტუვის სეიმის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ჟიგამანტას პავილონინისის შესახებ თქვა, რომ ის ნაცმოძრაობასთან არის კავშირში და საქართველოს მთავრობას მისი მოსაზრებები არ აინტერესებს.

რა გზავნილია ოპოზიციისა და დასავლეთისთვის ღარიბაშვილის განცხადებები და ოპოზიციის მხრიდან ექსპრემიერ გიორგი გახარიას ქება ხომ არ აღიქმება იმგვარად, რომ ბოლო სწორი ნაბიჯის გამო მას წინა შეცდომები და არასწორი გადაწყვეტილებები ეპატია? – ამ საკითხებთან დაკავშირებით „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი **დავით კირკიტაძე** საუბრობს.

– ოპოზიციისა და უშუალოდ თქვენი პარტიის მიმართ ღარიბაშვილისგან არასასიამოვნო და აგრესიული რიტორიკა მოვისმინეთ, ახსენა ტერორისტი და ა.შ. თქვენ როგორ აღიქვით და რა პასუხი გაქვთ?

– თქვენმა მკითხველმა განსაჯოს. პრემიერის გაკეთებული განცხადებები ხელს უწყობს ქვეყანაში დაძაბულობის განმუხტვას თუ პირიქით – კიდევ უფრო პოლარიზებას. დღეს რა სჭირდება ქვეყანას, იქიდან უნდა ამოვიდეთ და გვერდზე უნდა გადავდოთ პარტიული ინტერესები. ქვეყანას სჭირდება ერთიანობა და იმ პრობლემების გადაწყვეტა, რომლებიც დღეს არის ჩვენი ქვეყნის წინაშე. ამ კრიზისში შეყვანა „ქართული ოცნების“ დიდი დამსახურებაა, მაგალითად, ეკონომიკური კრიზისი შექმნა „ქართულმა ოცნებამ“.

პოლიტიკურ კრიზისში ჩვენი ქვეყანა იმყოფება იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენ გვქონდა პრობლემური არჩევნები. ყველა აღიარებს, რომ არჩევნები გაყალბდა. მოდით, ასე განვსაჯოთ, უწყობს თუ არა ხელს ამ ვითარების განმუხტვას ღარიბაშვილის განცხადებები? მე სუბიექტური ვარ და შესაძლოა, არ მომეწონოს მისი განცხადებები, მაგრამ საზოგადოებამ უნდა განსაჯოს ეს. მე, პირადად, სხვას არაფერს ველოდი ღარიბაშვილისგან. ის ერთ-ერთი გამორჩეულია „ქართული ოცნებაშიც“ კი, რომელიც ქვეყნის დამშვიდების ნაცვლად მუდმივად ცდილობს დაძაბულობის შეტანას.

– ამ ნიშნით შეარჩიეს ის?

– რა თქმა უნდა, ის ამ ნიშნით იყო შერჩეული და კიდევ ერთი – ის არის ბიძინა ივანიშვილის აბსოლუტურად ყველა დავალების შემსრულებელი. გახსოვთ ივანიშვილის შეფასება ღარიბაშვილის შესახებ, როდესაც თქვა, მას გამეორება არ სჭირდებაო. ივანიშვილს სწორედ ასეთი ადამიანები სჭირდება და არა მხოლოდ მთავრობაში, არამედ სასამართლოშიც, მასმედიაში და ა.შ. მთელი ქვეყანა ასეთი უნდა, რომ იყოს.

– ღარიბაშვილის წინამორბედები ასეთები არ იყვნენ?

– რა თქმა უნდა, დამოუკიდებლობის მეტი ხარისხი ჰქონდა ყოფილ პრემიერ გახარიას და, როგორც შემდგომში გაირკვა, კვირიკაშვილსაც. რა თქმა უნდა, დამოუკიდებლები არ იყვნენ და ვერ აკონტროლებდნენ მთელ რიგ უწყებებს, რაც პრემიერს კანონმდებლობით აქვს მინიჭებული, მაგრამ, ღარიბაშვილისგან განსხვავებით, მათ ჰქონდათ საკუთარი აზრი და შეხედულებები.

– ამ ფონზე, რა განცხადებებიც ღარიბაშვილისგან მოვისმინეთ, როგორ წარმოგიდგენიათ დიალოგი ხელისუფლებასთან?

– მინდა, თქვენმა მკითხველმა კარგად გაიგოს ეს, რომ ჩვენ ღარიბაშვილის ან „ქართული ოცნების“ რომელიმე ლიდერის განცხადებაზე კი არ ვართ დამოკიდებული, არამედ ვუსმენთ და ვითვალისწინებთ საქართველოს მოქალაქეების განწყობას. ჩვენი ნაბიჯები გადადგმული იქნება ამის მიხედვით. ადამიანები დღეს მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან და აქედან გამომდინარე ვიღებთ გადაწყვეტილებებს, ასევე ვუსმენთ საერთაშორისო პარტნიორებს, რომლებსაც ჩვენი ქვეყნისთვის სიკეთე უნდათ.

– პარტნიორების მისამართითაც გაკეთდა მწვავე განცხადება, კონკრეტულად კი ლიეტუველი დეპუტატი ღარიბაშვილმა ნაცმოძრაობასთან გააიგივა და თქვა, აღმაშფოთებელია მისი განცხადებები და არ გვაინტერესებსო. ეს დასავლეთის მიერ როგორ იქნება აღქმული?

– ესეც მკითხველმა უნდა შეაფასოს, ვინ არის საქართველოს მეგობარი. ლიეტუვა არის ქვეყანა, რომელიც ყველგან, ცივილიზებულ სამყაროში არის ჩვენი ინტერესების დამცველი და მას „ქართული ოცნების“ ლიდერები ამკობენ ასეთი ეპითეტებით, ხოლო ჩვენი მტერი, ოკუპანტი რუსეთის წარმომადგენლები – გავრილოვი და ძმანი მისნი ჩამოჰყავთ, ეგებიან ფეხქვეშ, სვამენ პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში და ერთი სიტყვა არ დაუძრავთ ამის საწინააღმდეგოდ. ისინი პარტნიორებად მიიჩნევენ ჩვენს მტრებსა და ოკუპანტებს, ხოლო რეალურ პარტნიორებსა და მეგობრებს ასეთი ეპითეტებით ამკობენ. ყველა კარგად ხვდება, საიდანაც მოდის ეს ყველაფერი და ვის დაკვეთასაც ასრულებს „ქართული ოცნება“.

– გასაგებია, რომ გახარიამ ბოლოს სწორი ნაბიჯი გადადგა, მაგრამ ზედმეტად ხომ არ აქებთ ოპოზიცია, რადგანაც იქამდე მას ბევრი არასწორი ნაბიჯი ჰქონდა და, გვინდა თუ არა, სწორედ მასთან ასოცირდება 20 ივნისი?

– გახარიას არც ერთ ნაბიჯს არ მოჰკლებია ობიექტური შეფასება. ჩვენ უნდა ვიცოდეთ და ობიექტურად შევაფასოთ მისი ესა თუ ის ნაბიჯი. გახსოვთ, რომ მისი მხრიდან არაერთი შეცდომა იყო დაშვებული, რაზეც ოპოზიცია იყო მკაცრი და კრიტიკული, მაგრამ მისი ბოლო ნაბიჯი არ იმსახურებს კრიტიკას. საერთო ჯამში, როგორი პრემიერი იყო გახარია, ეს უნდა შეაფასოს დრომ და საქართველოს მოქალაქეებმა.

– თითქოს ასეთი აღქმაა, რომ შეცდომები და არასწორი ნაბიჯები ბოლო სწორი ნაბიჯით ეპატია. ასე უყურებთ ოპოზიციას?

– ეპატია თუ არა ეპატია, თუ ის პოლიტიკაში მოღვაწეობას გააგრძელებს, ამაზე პასუხი ამომრჩეველმა უნდა გასცეს. თუ ექნება მოქალაქეების მხრიდან მხარდაჭერა, ეს ნიშნავს, რომ პოლიტიკური შეცდომები ეპატია და ბოლო ნაბიჯმა ამომრჩეველში გარკვეული სიმპათია მოუტანა. საერთოდ, პოლიტიკოსების მსაჯული ამომრჩეველია.

თუ ის ნამდვილად დამოუკიდებელი პოლიტიკოსია, თუ აქვს პოლიტიკური შეხედულებები და ქვეყნის განვითარების ხედვა, მას შეუძლია, შემოვიდეს პოლიტიკურ ველზე და შემდეგ ამომრჩეველი განსაზღვრავს, ვის რა ეპატია და ვისი როლი როგორ იქნა აღქმული. ახლა ჩემი მხრიდან არაობიექტური იქნება, რომ სხვა შუქ-ჩრდილებით დავაკნინო მისი ბოლო ნაბიჯი. თეთრზე თეთრი უნდა ვთქვათ და შავზე – შავი. როცა ცუდს აკეთებდა, ვაკრიტიკებდით, მაგრამ, როდესაც კარგი ნაბიჯი გადადგა, ამაზეც უნდა ვიპოვოთ ჩვენს თავში ძალა და ვთქვათ, რომ ეს იყო ნორმალური ნაბიჯი.

– მის ბოლო ფოტოზე დაფიქსირებული ლაიქებით თუ ვიმსჯელებთ, უკვე ხომ არ მისცა ამომრჩეველმა გარკვეული ლეგიტიმაცია?

– ესეც არ არის უმნიშვნელო ფაქტორი და ესეც კიდევ ერთი ინდიკატორია იმისა, რომ მან სწორი პოლიტიკური ნაბიჯი გადადგა. დანარჩენს დრო და მისი პოლიტიკური მოღვაწეობა გვაჩვენებს, თუ ეყოფა თავის თავში ძალა ან სურვილი ექნება და გააგრძელებს პოლიტიკაში ყოფნას. ჯერჯერობით არც ერთ იმ პრემიერ-მინისტრს არ ჰქონია ასეთი სურვილი, ვინც ბიძინა ივანიშვილმა მოიყვანა და შემდეგ გაუშვა.

– გამორიცხავთ, რომ გახარია დაიჭირონ?

– ვერ გამოვრიცხავ, თუმცა არანორმალურია და არასწორია. ეს ქვეყანას არ წაადგება და ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამთავრდეს მაღალი თანამდებობის პირების მიმართ ანგარიშსწორება პოლიტიკური ნიშნით. მხოლოდ ამ შემთხვევაში გვექნება პერსპექტივა. არ არის ეს ნორმალური, თუ, რა თქმა უნდა, მის საქმიანობაში არ არის სისხლის სამართლის დანაშაული.

„ივანიშვილის დავალებით გახარია პოლიტიკურ პარტიას ქმნის“

რამაზ საყვარელიძე: „ოპოზიცია დაუფიქრებლად და გაუაზრებლად მოქმედებს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო რამაზ, არსებობს ვერსია, რომ გიორგი გახარიამ შექმნას მესამე ძალა და ეს მხარდაჭერილი იყოს ივანიშვილისგან. რამდენად რეალური შეიძლება იყოს ეს ვერსია?

– ვფიქრობ, მწიფდება პოზიცია, რომ სწორედ გახარიას მიერ შეიქმნას მესამე ძალა. ამ ტიპის პოლიტიკურ კონფიგურაციაზე უკვე შეიძლებოდა ფიქრი ივანიშვილის გამოსამშვიდობებელი ინტერვიუს შემდეგ. ოპოზიცია ახალი შემადგენლობით – თითქოს ამ ინტერვიუს გზავნილიც ეს იყო. მართალია, კოლმეურნეობის თავმჯდომარის სახელი და გვარი არ უთქვამს, მაგრამ რთული მისახვედრი არ არის, რომ ასეთ დროს ფსონს რეიტინგულ ფიგურაზე დებენ. ამდენად, ასეთი რეიტინგული ფიგურა, სავარაუდოა, რომ გახარიაა. იქვე ისიც თქვა, რომ არჩევნებამდე „ქართულ ოცნებას“ არაფერი ემუქრება.

მიზანი ალბათ მთელი პოლიტიკური სპექტრის კონფიგურაციის შეცვალაა, თუმცა, არა მგონია, „ქართული ოცნება“ ყუთში გადაადგდონ. ამის ნიშანი ირაკლი ღარიბაშვილის წამოწევა და ბრძოლისუნარიანობის შენარჩუნებაა. საბოლოოდ, არჩევნებში ერთი თუ ვერ გაიმარჯვებს, გაიმარჯვებს მეორე ალტერნატივა. ამით კი მოხდება ნაციონალური მოძრაობის, მისი სტილის ოპოზიციის რეიტინგების ბოლოში მოქცევა. ეს არის მიზანი.

– თქვენ ამბობთ, რომ მესამე ძალა, ახალი ცენტრი პოლიტიკურ კონფიგურაციას შეცვლის სწორედ ოპოზიციურ ველზე ანუ არსებულ ოპოზიციას ჩაანაცვლებს?

– დიახ, ვფიქრობ, რომ გახარიას ნაბიჯი აქეთკენ არის მიმართული. თუ გახარია პარტიას შექმნის და, ვვარაუდობ, რომ შექმნის, ის აუცილებლად ოპოზიციური იქნება სწორედ „ოცნების“ მიმართ, მაგრამ გახარია არ დაიწყებს ბოქლომებითა და კარვებით სირბილს. ეს სტილი, რომელიც დღეს ოპოზიციას აქვს, ახალი ოპოზიციისთვის არ იქნება დამახასიათებელი. ის ახალ სტილს შემოგვთავაზებს.

– თუმცა გახარიას „ქართულ ოცნებაშიც“ კი არ აღმოაჩნდა ერთი ადამიანის გარდა მხარდამჭერი, მაია ცქიტიშვილს ვგულისხმობ, რომელიც გადადგა. ვინ შეიძლება იყოს მისი დასაყრდენი, ახალი ხალხი თუ ეს საყრდენი მან არსებულ ოპოზიციაში შეიძლება იპოვოს?

– რას ამბობდნენ, რამდენი „ლაიკი“ ჰქონდა ფეისბუკზე?! და, როგორ გგონიათ, პოლიტიკოსები უძლებენ ასეთ ცდუნებას?! ცქიტიშვილი რომ იქნება მის გვერდით, ეს დადასტურებული ამბავია. არა, ბევრი იქნება, ბევრი დამერწმუნეთ.

– „ოცნებიდანაც“ გადაბარგდებიან?

– „ოცნებიდან“ სწორედ. მიზიდულობა აქვს ორივეს. რაღაც ნაწილი გახარიასკენ წავა, რაღაც ნაწილი – ღარიბაშვილისკენ. გათვლა სწორედ ეს არის, რომ მიმზიდველობა არ დაკარგოს არც ერთმა ცენტრმა. რაც შეეხება დანარჩენებს, მათი სტილი, მათი პოლიტიკა სადღაც დაბლა, მეასეხარისხოვანი შეიძლება იყოს.

– გამორიცხავთ, არსებული ოპოზიციური სპექტრიდან ვინმე შეუერთდეს გახარიას?

– არა, გამორიცხვით არაფერს გამოვრიცხავ, მაგრამ მთლად ნაციონალურ მოძრაობას, მათ წარმომადგენლებს ნამდვილად გამოვრიცხავ. გადაცმულ ნაციონალებზე, რომლებიც მარტივად გადადიან სცენიდან სცენაზე, რასაკვირველია, არ ვსაუბრობ.

– არსებულ სიტუაციას რომ დაუბრუნდეთ, ღარიბაშვილი ვადამდელ არჩევნებს, უბრალოდ, არ განიხილავს. იქნება დიალოგი?

– საქართველოში, სადაც 300-500-კაციანი სუფრები იშლება, ოპოზიცია, თან გაერთიანებული, მიტინგზე ვერ აგროვებს ხალხის ამ რაოდენობას და მითხარით, რის საფუძველზე დანიშნავს ხელისუფლება ვადამდელ არჩევნებს?! დიდი მასშტაბის უკმაყოფილება რომ იყოს, თვითონ წავიდოდა ამაზე ნებისმიერი ხელისუფლება.

– პარლამენტში საგამოძიებო კომისია შეიქმნა. რას ელოდებით ამ კომისიის მუშაობისგან?

– „ოცნებამ“ შექმნა ეს კომისია. მე არ გამოვრიცხავ ასეთი სცენარით მოვლენათა განვითარებას: კომისია იმუშავებს გარკვეული პერიოდი, რამდენიმე თვე. ამასობაში გახარია შექმნის პარტიას. კომისია აღმოაჩენს, რომ 1%-ზე მეტი არის დარღვევა. ამ შემთხვევაში კი ირაკლი კობახიძემ გვითხრა, რომ თავად ხელისუფლება დანიშნავს ახალ არჩევნებს უკვე გახარიას პარტიის მონაწილეობით და, როგორ გგონიათ, რამდენ პროცენტს მიიღებს ის ოპოზიცია, რომელიც იბრძვის ახალი არჩევნებისთვის?! თუ ერთპროცენტიანი ბარიერი არ იქნება და მაღალი ბარიერი იქნება, ერთი პარტიაღა დარჩება. საერთოდ გაქრებიან. შეიძლება, ოპოზიციაში ამ სცენარზე არც კი დაფიქრებულან. დაუფიქრებლად და გაუაზრებლად მოქმედებს ოპოზიცია. „ქართულმა ოცნებამ“ კი ბოლო ხანებში ისწავლა დაფიქრება და პოლიტიკური ჭადრაკის თამაში.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

გიგლა ბარამიძე: „პოლიტიკოსებმა პირად ამბიციებს ქვეყანა არ უნდა გადააყოლონ“

მარიამ მჭედლიშვილი

ოპოზიციამ შექმნილი კრიზისის პირობებში 25 თებერვალს დაგეგმილი საპროტესტო აქციები გადადო. მდგომარეობა კი ისევ კრიზისულია. შექმნილ ვითარებაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა უპარტიო პოლიტიკოსს, დიპლომატს, გიგლა ბარამიძეს.

– ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, პოლიტიკური კრიზისი უფრო გაღრმავდა?

– სამწუხაროდ, მძიმე ვითარებაა. თქვენს კითხვებს ვპასუხობ, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკოსი, რომელიც არც ერთ მხარეს არ ეკუთვნის. არასდროს ვყოფილვარ ნაცმოძრაობასთან. პირიქით, სააკაშვილი პოლიტიკურად მდევნიდა. არც „ქართულ ოცნებაზე“ ვარ ჩამოკიდებული და მასაც არ ვაკლებდი კრიტიკას. გიორგი გახარიას წასვლა სენსაცია არ უნდა ყოფილიყო. პირადად მე ჯერ კიდევ 6 თვის წინ ვამბობდი, რომ გახარია მიდის თანამდებობიდან. ეს გაიჭიმა ჯერ პანდემიის, შემდეგ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან გასვლის გამო. გახარია წავიდოდა. „ქართული ოცნების“ გუნდმა ეს ძალიან ცუდ დროს მოახდინა. მაშინ, როცა ასეთი ამბავია ატეხილი ოპოზიციის პარლამენტში შესვლა-არშესვლაზე, „ოცნება“ ერთად უნდა ყოფილიყო და შიგნით არსებული დაპირისპირება დროებით მაინც უნდა დაევიწყებინა. არც ის იყო სწორი, რაც ნიკა მელიას წინააღმდეგ ჩაიფიქრეს. სპეცრაზმის მიგზავნა პარტიის ოფისთან უგუნურობაა. როცა ასეთი კრიზისია და ყველაფერი წკიპზე ჰკიდია, ოპოზიციის ლიდერის დაპატიმრების დრო არ არის. სამაჯურის მოხსნის გამო რომ მოუნდათ კაცის დაპატიმრება, ციხეში გასაშვები ხალხის მეტი რა არის ქვეყანაში?!

– რაზე და ვისზე საუბრობთ?

– კორუმპირებულ ჩინოსნებზე, თანამდებობის პირებზე. ასეთები მრავლად არიან. მათ სამართალში მიცემაზე არავინ ფიქრობს. გამოვიდა, რომ მთავარი დამნაშავე მელია ყოფილა. იმასაც არ ვიტყვი, რომ მელია წინათ აბსოლუტურად არ ყოფილა დაკავშირებული ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებასთან. ის პარტიაშია ახალი, თორემ მსახურობდა სააკაშვილის სტრუქტურებში. აქ მელიას პიროვნებაზე არაა ლაპარაკი. უტვინო გეგმებითა და მოქმედებებით „ქართულმა ოცნებამ“ ახალი მუხტი მისცა ნაციონალურ მოძრაობას. ნაციონალური მოძრაობა კი აკეთებს იმას, რაც სააკაშვილსა და ადეიშვილს უნდათ. სააკაშვილსა და ადეიშვილზე, მათ მიმდევრებზე გამალებული მუშაობს სამი ტელევიზია. ნიკა მელიას აქტივობა სააკაშვილ-ადეიშვილის გეგმის ნაწილია.

– დანარჩენ ოპოზიციაზე რას იტყვით?

– ოპოზიციონერების უმრავლესობა იძულებულია, რაღაც ფორმით ჩაერთოს ამ პროცესში. როცა გაიგეს, რომ ნიკა მელიას აპატიმრებენ, ეს ხალხი მას გვერდით დაუდგა. მეორდება იგივე სცენარი, რომელიც დაიწყო 9 წლის წინ – ისევ პოლარიზება, ისევ ნაციონალური მოძრაობის გაძლიერება. სააკაშვილზე მომუშავე სატელევიზიო არხები ქმნიან აპოკალიფსურ სურათს, ირწმუნებიან, თითქოს ყველაფერი ჩამოშლილია და ინგრევა და, თუ ვადამდელი არჩევნები არ დაინიშნა, ქვეყნის აღსასრული გარდაუვალია. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ამ აზრს მხარს უჭერს მთელი მოსახლეობა. არადა, ასე არ არის. ხალხს აჯერებენ, რომ ხელისუფლება ვერ უვლის ნაციონალურ მოძრაობას. ტელევიზიები, პოლიტიკური კრიზისის გამწვავების გარდა, საეკლესიო საკითხებსაც ძალიან ცუდად ეხებიან. ჩემთვის და საზოგადოების დიდი ნაწილისათვის კატეგორიულად მიუღებელია ბინძური თავდასხმები კათოლიკოს-პატრიარქზე.

– გამოითქმის მოსაზრებები, რომ პრემიერად დაბრუნებული ირაკლი ღარიბაშვილი მოუვლის ნაციონალურ მოძრაობას.

– ირაკლი ღარიბაშვილმა მარტო როგორ უნდა მოუაროს ნაციონალურ მოძრაობას?! თუ სამართლის უზენაესობასა და სამართლიანობის აღდგენაზეა ლაპარაკი, წინა ხელისუფლების დამნაშავე პირებისთვის პასუხი 2012 წლიდან უნდა მოეთხოვათ. „ქართული ოცნების“ ბევრი წარმომადგენელი მაშინ უკვე ფულის შოვნითა და საკუთარი სასახლეების შენებით დაკავდა. პირადად მე ამ პროცესებს დამოუკიდებელი კაცის პოზიციიდან ვუყურებ. ახლა „ოცნებამ“ კიდევ უფრო გაალაღა ნაციონალური მოძრაობა და ოპოზიციას ქულები დააწერინა. რამე რომ შეიცვალოს, სისტემური ცვლილებებია აუცილებელი. ამას ვერ ვხედავ.

– ხშირად გაისმის, რომ ნამდვილი პრობლემებისა და გამოწვევების ფონზე პოლიტიკაში ყურადღება გადააქვთ მეათეხარისხოვან საკითხებზე. თქვენც ასე ფიქრობთ?

– რასაკვირველია. ქვეყანა დგას უზარმაზარი პრობლემების წინაშე. აღმოვჩნდით გეოპოლიტიკურ ჩიხში. არც ერთ სერიოზულ მოლაპარაკებაზე აღარ გვეძახიან. ეს ეხება რკინიგზასაც, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენსაც. რომში ოქტომბერში ტარდება დიდი ოცეულის სამიტი. მასზე 38 ქვეყანაა მიწვეული, მათ შორის, აზერბაიჯანი. საქართველო ამ სამიტთან მიმართებით არც კი უხსენებიათ. ჩვენ ასევე გვაქვს დიდი სოციალური და ეკონომიკური გამოწვევები, ტერიტორიული პრობლემები, დავითგარეჯის მოუგვარებელი თემა. ყველა ადამიანი ამას არ გაჰყვირის, მაგრამ ძალიან ბევრს დაუდგა გადარჩენის პრობლემა. გამყოფი ზოლებიდან გრძელდება ადამიანების გატაცება. არ არის ჯანსაღი სიტუაცია აჭარაში. არ დავაკონკრეტებ. გამგები გაიგებს. შავ ზღვაში მანევრები მიმდინარეობს საქართველოს გარეშე. ვდგავართ დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე. ამ პირობებში თვეებია, სისტემატურად მიდის ლაპარაკი იმაზე, ვინ შედის და ვინ – არა პარლამენტში. ეს თემა გადაფარა ნიკა მელიას საკითხმა. ფეისბუქის ლომების ყურადღების საგანია 200.000-ზე მეტი მოწონება გახარიას გამოსამშვიდობებელ ფოტოზე. თქვე კაი ხალხო, აქედან ათჯერ ნაკლები – 20.000 მაინც მოგროვდით პარლამენტთან და მოითხოვეთ გახარიას დაბრუნება. იქნებ, ბრუნდება! არავის ეგონოს, რომ მართლა ვინმეს მოვუწოდებ შეკრებისაკენ.

– ამას ირონიულად ამბობთ. ირონიას მკითხველიც გაიგებს.

– რასაკვირველია, მწარე ირონიით ვამბობ, რითია დაკავებული ხალხი, რაზე იხარჯება პოლიტიკოსების ყურადღება.

– პოლარიზაცია გაიზარდა?

– პოლარიზაციის ზრდა დაიწყო მაშინ, როცა ნაციონალურმა მოძრაობამ განაცხადა, რომ არ შევა პარლამენტში. არადა, 30 მანდატი მიიღო. ეს იმას ნიშნავს, რომ სააკაშვილ-ადეიშვილს უნდა უმრავლესობა და ძალაუფლება ახლავე და ისინი 4 წელიწადს არ მოიცდიან. „ოცნებაც“ ყველაფერს აკეთებს ნაციონალური მოძრაობის გაძლიერებისათვის. ნაციონალებს აუჩემებიათ, გავრილოვიო და ამ კაცის გვარსახელს ყოველდღე აბრუნებენ. გავრილოვი ხომ არ იღებს რუსეთში გადაწყვეტილებებს?! ეს კაცი საქართველოში ცხოვრობდა და სხვებზე მეტად იცნობს საქართველოს. გავრილოვის გვარს ატრიალებენ იმისთვის, რომ ეს საჭიროა გეგმებისთვის. სააკაშვილ-ადეიშვილს უნდათ ეროვნული მოძრაობის გაღვივება და იმის თქმა, თითქოს რუსეთის წინააღმდეგ საქართველოსთვის იბრძვიან.

– უკრაინის უშიშროების საბჭომ კანონგარეშე გამოაცხადა პოლიტიკოსი ვიქტორ მედვედჩუკი, რომელიც პროპუტინისტურად ითვლება. სანქციები, მის გარდა, დაუწესეს მის პარტიას, საზოგადოებრივ მოძრაობას, ოჯახს, გარემოცვას. საქართველოში მსგავსი რამ შესაძლებელია?

– არ ვიცი. ზოგადად, თუ საქართველოში ვინმეს რუსეთისთვის რაიმე სასარგებლო გაუკეთებია, ეს იყო ნაციონალური მოძრაობა. გენერალ-გუბერნატორ ვორონცოვ-დაშკოვზე მეტად ასარგებლა რუსეთს სააკაშვილის ხელისუფლებამ. ნაცმოძრაობის ზოგიერთი წევრის ოჯახში დღესაც რუსეთის პასპორტები აქვთ. პარტიის ამასწინანდელი თავმჯდომარე გრიგოლ ვაშაძე კარგა ხანს რუსეთის მოქალაქე იყო. პარტიის სიის პირველი ნომერი ბუბა კიკაბიძე პარტიულ ღონისძიებაზე ქალაქის ცენტრში რუსული სიმღერით წარდგა. საქართველოს თითქმის მთელი ეკონომიკა, ენერგეტიკით დაწყებული, კომპანია „ბორჯომით“ დამთავრებული, სააკაშვილის დროს გადავიდა რუსების ხელში. აშშ რომ არ ჩარეულიყო, სააკაშვილი, მერაბიშვილი და ბენდუქიძე მაგისტრალურ გაზსადენსაც რუსებს უთმობდნენ. მერაბიშვილი და ცხონებული ბენდუქიძე ამბობდნენ, რომ ფულს სუნი არა აქვს. გვაქვს დავითგარეჯის პრობლემა. არსებობს კადრები, სადაც სააკაშვილი ამბობს, რომ სტრატეგიული სიმაღლე გადასცა აზერბაიჯანს. ხელისუფლებამ უნდა დაიცვას საქართველოს ინტერესები და ეს საქმე ბოლომდე მიიყვანოს. პოლიტიკური დაძაბულობა, ალბათ, გაგრძელდება. ყველამ უნდა გაიგოს, რომ მთავარია სახელმწიფო. პოლიტიკოსებმა პირად ამბიციებს ქვეყანა არ უნდა გადააყოლონ. არც ერთ მხარეს არ წარმოვადგენ და პირადი ამბიციების მოთოკვისკენ ყველას მოვუწოდებ.

„საგარეჯოში 10 ჰექტარი მიწა არაბეთის მოქალაქემ იყიდა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს უფლებადამცველთა ასოციაციის თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე პასუხობს.

ნიკოლოზ მჟავანაძე: „ბევრმა არც იცის ის ფაქტი, რომელიც საგარეჯოში მოხდა“

– ბატონო ნიკოლოზ, თქვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, საგარეჯოს რაიონში, დავითგარეჯთან ახლოს, უცხოელებზე დიდი ფართობის მიწა გაიყიდა. უფრო დეტალურად ჩვენი მკითხველისთვის, რა ხდება?

– რა ხდება და საგარეჯოში 10 ჰექტარი მიწა იყიდა არაბეთის მოქალაქემ, მოჰმოუდ სამი ბადავი მოჰამედმა. მაქვს ამონაწერი რეესტრიდან, რომელიც ამ ინფორმაციას ადასტურებს. ეს 10 ჰექტარი მიწა მან დაყო ნაწილ-ნაწილ. რა ინფორმაციაც ჩვენ გვაქვს, იქ მთელი ქალაქი კეთდება. არაბეთის მოქალაქეებზე უნდა გასხვისდეს ეს მიწები და უნდა ააშენონ იქ სახლები. საგანგაშოა ეს ყველაფერი და ამაზე არავინ ფიქრობს.



N 55.12.65.000.178

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განმცხადებლის რეგისტრაციისა N 88201028707 - 20/01/2021 15:07:32	ნომერი თარიღი 26/01/2021 13:39:28

საკადასტრო კოდი: 55.12.65.000.178

ნაკვეთის ფართობი			
55	12	65	000/178

ნაკვეთის ადგილმდებარეობა: არსებითი სიტუაციური ფართობი: 98127.00 კვ.მ

ნაკვეთის ნაწილი ნომრები: 55.12.65.000.123; 55.12.65.000.124; 55.12.65.000.174;

შენობა-ნაგებობის მისამართი: ; N2 (ოცდაორმეტი) , N1 (ერთეული) , N4 (ოთხეული) , N3 (სამეული)

ბინა	სულადი
სადარეკი	ეკონომიკური
ეზოები	ნაკვეთი
ეზოები	

მესაკუთრის	

მარნეულში ახალგაზრდა ცოლ-ქმარი და მათი 3 წლის შვილი გაზით გაიგუდნენ

მარნეულში, სავარაუდოდ, ბუნებრივი აირით ინტოქსიკაციის შედეგად ოჯახის 3 წევრი დაიღუპა – 23 წლის მამაკაცი, მისი 21 წლის ცოლი და 3 წლის ბავშვი.

მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე პრიმა მუხლის მესამე ნაწილით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს ელექტრო ან თბოენერგიის, გაზის, ნავთობის ან ნავთობპროდუქტის ობიექტზე უსაფრთხოების წესების დარღვევას, რასაც ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა მოჰყვა.

რუსთავში ბექა აფციაურს თავზე ბეტონი დაეცა და მოკლა

21 თებერვალს უბედური შემთხვევა მოხდა რუსთავში.

ოსტროვსკის ქუჩაზე შენობის დემონტაჟს 30 წლის ბექა აფციაურის სიცოცხლე ემსხვერპლა.

„ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, ახალგაზრდა სამუშაოებს ნათესავის ოჯახში ასრულებდა, როდესაც ჩამონგრეული ბეტონი მოხვდა. ის ადგილზე გარდაიცვალა.

ბექა აფციაურს მეუღლე და 2 მცირეწლოვანი შვილი დარჩა.

სამტრედიაში დაკარგული ბავშვები სტადიონზე იპოვეს

სამტრედიაში 19 თებერვალს, 6 საათზე, 11 წლის ლუკა ლომაია და 13 წლის ხვიჩა გრიგოლია გაუჩინარდნენ.

ბავშვები წინა დღეს ბანკომატიდან თანხის გამოსატანად წავიდნენ და მას შემდეგ მთელი ღამე არ ჩანდნენ.

ოჯახი დაკარგულ ბავშვებს მთელი ღამის განმავლობაში ეძებდა, პოლიციას შეატყობინეს, თუმცა სამართალდამცველებმა სათანადო რეაგირება არ მოახდინეს. ბავშვების მშობლები სამართლადამცველებთან შეხვედრას ცდილობდნენ, რასაც ადგილზე ხმაური მოჰყვა.

20 თებერვალს გაუჩინარებული ბავშვები იპოვეს. ისინი სტადიონზე ნახეს.

როგორც მათ მშობლებს უთხრეს, ბანკომატმა თანხა ჩაუყლაპა, სახლში დაბრუნების შეეშინდათ და ამიტომ დაიმალნენ. მათ ღამე სტადიონის ლოჟაში გაათენეს, დილით კი მეზობელმა იპოვა.

ბავშვები თავს კარგად გრძნობენ.

კასპში მდინარეში მსხვილი კომპანიის უფროსის ცხედარი იპოვეს

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კავთისხევში მამაკაცი გარდაცვლილი ნახეს.

ცხედარი იდენტიფიცირებულია. ის პროზექტურაში გადაასვენეს.

სოფლის წარმომადგენლის თქმით, გვამი მდინარეში იპოვეს და პოლიციამ სხეულზე დაზიანების კვალი ვერ აღმოაჩინა.

მიმდინარეობს გამოძიება. გარდაცვლილი მამაკაცი წარმოშობით კასპიდან იყო და ერთ-ერთ მსხვილ კომპანიას ხელმძღვანელობდა.

ხანძარი ხუდადოვზე
დაიწვა 2 ბინა და სახურავი

21 თებერვალს თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ხუდადოვის ქუჩაზე მდებარე სახლს ცეცხლი გაუჩნდა.

ხუდადოვის 1-ელ ნომერში დაიწვა 2 ბინა და კორპუსის სახურავი.

მსუბუქად დაშავდა 2 მოქალაქე. ადგილზე 11 სახანძრო-სამაშველო ბრიგადა მუშაობდა. მათ ცეცხლის ლოკალიზება მალევე მოახერხეს.

ირაკლი ღარიბაშვილი: „სრული მხარდაჭერა ბატონ გომელაურს, სრული მხარდაჭერა თითოეულ პოლიციელს“

– სრული მხარდაჭერა ბატონ გომელაურს, რომელიც ძალიან ეფექტიანად მართავს თავის უწყებას, სრული მხარდაჭერა თითოეულ პოლიციელს და მე მინდა ამ ტრიბუნიდან გადავუხადო გულწრფელი მადლობა.

ამის შესახებ პრემიერმინისტრობის კანდიდატმა ირაკლი ღარიბაშვილმა პარლამენტში, ფრაქცია „ქართული ოცნების“ სხდომაზე განაცხადა.

– მე მინდა, პირველ რიგში დავიწყო იმით, რომ ჩემი სრული მხარდაჭერა ბატონ გომელაურს, რომელიც ძალიან ეფექტიანად მართავს თავის უწყებას. სრული მხარდაჭერა თითოეულ პოლიციელს და მე მინდა ამ ტრიბუნიდან გადავუხადო გულწრფელი მადლობა. მე ვიცი, რას ნიშნავს პოლიციელის მუშაობა, პოლიციელი არის გმირი, მეგობრებო. 24 საათის განმავლობაში ჩვენი პოლიციელები ზრუნავენ ჩვენი მოქალაქეებისთვის. ჩვენი შვილების, ოჯახის წევრების უსაფრთხოებაზე. იმაზე, რომ ჩვენ გვეძინოს მშვიდად.

ის აღვირახსნილი, ანტისახელმწიფოებრივი კამპანია, რომელიც მომდინარეობს ნაცმოძრაობის მხრიდან, არის ყოვლად მიუღებელი და დაუშვებელი. ამიტომ ეს ქაოსი უნდა დასრულდეს. სრული მხარდაჭერა თქვენ, ბატონო ვახტანგ! სრული მხარდაჭერა ჩვენს პოლიციას და მადლობა კიდევ ერთხელ ყველაფრისთვის! – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მისი თქმით, პოლიციელის მიმართ ნებისმიერი კანონდარღვევა, ნებისმიერი სამართალდარღვევა უნდა ისჯებოდეს ძალიან მკაცრად და არავითარი კომპრომისი ამ მიმართულებით არ იქნება.

– პოლიციელი არის ხელშეუხებელი. შესაბამისად, ჩემი პოზიცია იყო, არის და იქნება ასეთი მტკიცე, ისევე როგორც ბატონ ვახტანგს აქვს. ასე რომ, კიდევ ერთხელ სრული მხარდაჭერა, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მან ხაზი გაუსვა, რომ ვახტანგ გომელაურს აქვს კარგი ინიციატივები იმაზე, თუ დამატებით რა რეფორმები შეიძლება განვახორციელოთ პოლიციაში.

– უფრო მეტი მხარდაჭერა და დაფინანსება სჭირდება პოლიციას, ყველაფერს გადავწყვეტთ ძალიან მოკლე ვადაში, – აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მისი თქმით, დღეს პოლიცია არის ჩვენი ხალხისა და სახელმწიფოს სამსახურში.

– კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო: პოლიციელის მიმართ ნებისმიერი გადაცდომა, სამართალდარღვევა მკაცრად, კანონის ფარგლებში იქნება დასჯადი. არავითარი კომპრომისი პოლიციელის მიმართ განხორციელებულ ნებისმიერ გადაცდომაზე. თუ ჩვენ გვსურს სამართლებრივი, ამავდროულად, სამართლიანი და ძლიერი სახელმწიფოს მშენებლობა, მაშინ ჩვენ ვალდებულები ვართ, რომ დავიცვათ კანონი და დავიცვათ ის ადამიანები, რომლებიც იცავენ კანონს, ჩვენი მოქალაქეების უსაფრთხოებას და სიცოცხლეს საკუთარი სიცოცხლის ფასად, – დასძინა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ყვარელში 73 წლის ქალი დააყაჩაღეს
19 წლის ა.ე. ჩოხატაურში დააკავეს

ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფელში ცივი იარაღით შეიარაღებული 20 წლამდე ახალგაზრდა სასურსათო მაღაზიაში შეიჭრა და 73 წლის ქალს რამდენიმე დაზიანება მიაყენა, რის შემდეგაც ნოვრუზ აკოფაშვილის კომერციული ფართიდან 1.500 ლარი და ძვირფასეულობა წაიღო. ქალი მიყენებული დაზიანებებით საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც შესაბამისი მკურნალობა ჩაუტარდა.

შსს-ს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის ყვარლის რაიონული სამმართველოს და გურიის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2001 წელს დაბადებული ა.ე., ყაჩაღობის ბრალდებით, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დააკავეს.

დანაშაული 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული მიმდინარე წლის 20 თებერვალს, ყვარლის მუნიციპალიტეტში, მოქალაქის კუთვნილ სურსათის მაღაზიაში შეიჭრა, მაღაზიის მეპატრონეს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, ცივი იარაღით სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა და ყაჩაღურად გასტაცა 1.500 ლარი, ოქროს ბეჭედი, მობილური ტელეფონი და სიგარეტები, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

პოლიციამ, ბრალდებულის პირადი ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოიღო ყაჩაღური გზით დაუფლებული თანხა და მობილური ტელეფონი. ერთ-ერთი ლომბარდიდან, ასევე, ნივთმტკიცების სახით ამოღებულია ოქროს ბეჭედი. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ყაჩაღობას გულისხმობს.

„უცბად კაცი მანქანიდან გადმოხტა და მამი, მამი, არ მოკვდეო, ყვიროდა“
რა მოხდა რუსთავში

რუსთავში საპატრულო პოლიციამ 2 წლამდე ბავშვი გადაარჩინა.

როგორც თვითმხილველები „ინფო რუსთავს“ უყვებიან, ე.წ. სტამბოლის ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე წლის და 4 თვის ბავშვი კრუნჩხვაში ჩავარდა, რომელსაც დროული დახმარება საპატრულო პოლიციამ აღმოუჩინა.

– ჩემ თვალწინ გაჩერდა მანქანა, გადმოვიდა კაცი, რომელიც საჭესთან იჯდა და მამა, მამა, არ მოკვდეო, ყვიროდა. მერე დედა გადმოვიდა მანქანიდან, ბავშვი ხელში ეკავა და ყვიროდნენ, ბაბი, ბაბი, ამოისუნთქეო. ხალხიც მოგროვდა, ხან ამოატრიალეს ეს ბავშვი, ხან რა დაემართა, ხან რა.

შემდეგ მე გამოვიძახე სასწრაფო, უფრო ადრე მოვიდა პატრული. სასწრაფომ დაგვირეკა, სად მოვიდეთ ტერიტორიულადო და არ მოხვიდეთ, პატრულის თანამშრომლებმა წაიყვანეს-მეთქი. პატრულმა ძალიან მალე იმოქმედა, არც შეუხედავთ რამისთვის, გადმოვიდნენ მანქანიდან, ეგრევე ჩასვეს ბავშვი და წაიყვანეს. ფაქტობრივად პატრულმა გადაარჩინა ეს პატარა გოგონა, – უყვება ერთ-ერთი თვითმხილველი „ინფო რუსთავს“.

წლისა და 4 თვის ბავშვი საპატრულო პოლიციის ეკიპაჟმა „კლინიკა რუსთავში“ გადაიყვანა.

სამედიცინო დაწესებულების პედიატრიული განყოფილების ხელმძღვანელ ჯონი სამხარაძის თქმით, მცირეწლოვან გოგონას მაღალი სიცხისგან გამოწვეული კრუნჩხვა აღენიშნებოდა. ექიმის ინფორმაციით, ბავშვს კლინიკაში შეყვანის დროს გულყრა უკვე მოხსნილი ჰქონდა.

ჯონი სამხარაძის თქმით, გოგონამ სამედიცინო დაწესებულება დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში დატოვა.

კახეთში 30 წლის კაცმა 10 წლის გოგონაზე იძალადა



შემზარავი შემთხვევა მოხდა კახეთში, ერთერთ სოფელში: 30 წლამდე კაცმა 10 წლის გოგოზე იძალადა. ბავშვზე ძალადობა, სავარაუდოდ, მისსავე სახლში, სხვა არასრულწლოვანთა თვალწინ მოხდა. სავარაუდო მოძალადე დაკავებულია.

დაკავებულის ოჯახში 30 წლის კაცის მხრიდან ძალადობას გამორიცხავენ.

– ჯერ მაგას დამტკიცება უნდა, დარწმუნებული ვარ, უდანაშაულოა, – ამბობენ დაკავებულის ახლობლები.

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ოჯახში ძალადობის, მუქარის და არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილი სქესობრივი დანაშაულის ბრალდებით, 1990 წელს დაბადებული გ.ი. ლაგოდეხში დააკავეს.

დანაშაული 15-დან 20 წლამდე ან უვადოდ თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული, არასრულწლოვანი შვილების თანდასწრებით, მეუღლის მიმართ სისტემატურად ახორციელებდა ფსიქოლოგიურ ძალადობას და დანის დემონსტრირებით სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა მას. გ.ი. არასრულწლოვან შვილებზეც ძალადობდა.

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ ბრალდებულმა თავის ოჯახში სტუმრად მყოფი 10 წლის გოგონას მიმართ სქესობრივი დანაშაული ჩაიდინა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11?-151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 126?-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებითა და 137-ე მუხლის მე-4 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

შსს-მ კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მოქმედი რეგულაციების დარღვევის 618 ფაქტი გამოავლინა

შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლები, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით, სამართალდარღვევის ყველა ფაქტზე ოპერატიულად რეაგირებენ.

სამართალდამცველების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად ბოლო 24 საათის განმავლობაში მთელი ქვეყნის მასშტაბით, დაწესებული შეზღუდვების ფარგლებში მოქმედი რეგულაციების დარღვევის 618 ფაქტი გამოვლინდა.

პოლიციამ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად 99 ფიზიკური პირი დაჯარიმა.

დაჯარიმებულთა შორის არიან მოქალაქეები, რომლებმაც 21 საათიდან დილის 5 საათამდე დაწესებული გადაადგილების შეზღუდვის წესი დაარღვიეს.

გარდა ამისა, 24 საათის განმავლობაში პირბადის ტარების წესის დარღვევის ფაქტზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად 519 ფიზიკური პირი დაჯარიმდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან დაწესებული შეზღუდვები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული, შესაბამისი ზომები.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს. შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს მოქალაქეებს, გამოიჩინონ მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა და დაემორჩილონ არსებულ რეგულაციებს.

პირბადის ტარების წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად ჯარიმას 20 ლარის ოდენობით.

იზოლაციისა და კარანტინის წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად ფიზიკური პირის დაჯარიმებას 2.000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის – 10.000 ლარის ოდენობით.

განმეორებითი ჯარიმა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

კონგოში იტალიის ელჩი ლუკა ათანასიო მოკლეს

კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაეროს კოლონაზე თავდასხმის შედეგად კონგოში იტალიის ელჩი ლუკა ათანასიო გარდაიცვალა.

იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ელჩის გარდაცვალებასთან დაკავშირებული ინფორმაცია დაადასტურა და განაცხადა, რომ თავდასხმას ელჩთან ერთად მყოფი პოლიციელის სიცოცხლეც ემსხვერპლა.

„ელჩი და სამართალდამცავი კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტაბილიზაციის მისიის კოლონაში ავტომობილით გადაადგილდებოდნენ“, – ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

კოლონას შეიარაღებულმა პირებმა ცეცხლი გაუხსნეს და ელჩი მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაიცვალა. იტალიური მედიის ინფორმაციით, დაუდგენელმა პირებმა გაეროს თანამშრომლების გატაცება ცადეს.

ლუკა ათანასიოს კონგოში იტალიის ელჩის თანამდებობა 2019 წლიდან ეკავა.

ბაიდენი კანადის პრემიერს შეხვდება

აშშ-ის პრეზიდენტი ბაიდენი კანადის პრემიერ ჯასტინ ტრიუდოს შეხვდება. ამის თაობაზე ინფორმაციას თეთრი სახლის პრესმდივანი პსაკი ავრცელებს.

ბაიდენი და ტრიუდო განიხილავენ მრავალ პრობლემას, მათ შორის აშშ-კანადის ურთიერთობას, პანდემიასთან ბრძოლას, კლიმატის შეცვლასთან დაკავშირებით წარმოქმნილ პრობლემებსა და ა.შ.

ნავალნის მომხრის ავტომობილი დაწვეს

ნოვოსიბირსკში ნავალნის მომხრის ავტომობილი დაწვეს. მანქანას ამშვენებდა წარწერა „ნავალნი“. ვიდეოთვალმა დააფიქსირა მამაკაცი, რომელიც გაჩერებულ მანქანასთან მივიდა, შუშა ჩაამსხვრია და სალონში შუშხუნა შეაგდო.

მძღოლმა ძლივს უშველა თავს, მანქანას კი ცეცხლი მოეკიდა და მთლიანად დაიწვა.

მომხდარის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება.

თავდასხმა ამერიკულ ავიაბაზაზე

უცნობი პირები თავს დაესხნენ ერაყში მდებარე ამერიკულ ავიაბაზას და მისი მიმართულებით რაკეტები ისროლეს. არც ერთ ტერორისტულ ორგანიზაციას ამ აქციის გამო პასუხისმგებლობა არ აუღია. თავდასხმის შედეგად დაჭრილია ერთი მეომარი.

დენვერი-ჰონოლულუს ბორტი ჰაერში დაიშალა და დენვერში ავარიულად დაჯდა

ამერიკის შეერთებულ შტატებში ბოინგ 777 ფრენის დროს ნაწილებად დაიშალა. გაერთიანებული ავიახაზების თვითმფრინავი ავარიულად დენვერში დაეშვა. ინციდენტს მსხვერპლი არ მოჰყოლია. დაზიანებული ძრავის ნაწილები დასახლებულ პუნქტებში ჩამოვარდა. დაზიანდა საცხოვრებელი სახლები და ავტომობილები.

გაფრენა დენვერიდან ჰონოლულუს მიმართულებით ხორციელდებოდა.

ავარიული დაშვების მიზეზად ძრავის ტექნიკური გაუმართაობა სახელდება.

ბორტზე 231 მგზავრი და ეკიპაჟის 10 წევრი იმყოფებოდა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

დინამო სუპერთასი სანიოლის თვალწინ მოიგო

დინამო (თბ)-გაგრა 2:2 (5:4პ)

0:1 ქობულაძე (13), 1:1 მახესიჩი (47), 2:1 გაბედავა (67), 2:2 ნოზაძე (72)

დინამო თბილისი: კვასხვაძე, მონხილი, კობოური (იაშვილი 79), ქარდავა (კუცია 59), რადინი, გაბედავა, პაპავა, ბენიო, სპორკსლედე, მექვაბიშვილი, მარუსიჩი (ახვლედიანი 70)

გაგრა: კერესელიძე, ხოსიტაშვილი, ჩადუნელი, ნოზაძე, კიკაბიძე (მუმლაძე 79), სულთანიშვილი (კაკიაშვილი 59), ხაბელაშვილი (იონანიძე 65), მაქაცარია, ქობულაძე, ვეკუა (მარკოზაშვილი 71), სამუშია (საჯაია 71)

2021 წლის ქართული საფეხბურთო სეზონი სლავა მეტრეველის სახელობის სუპერთასით დაიწყო. მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ერთმანეთს 2020 წლის ეროვნული ლიგის ჩემპიონი თბილისის დინამო და დავით ყიფიანის სახელობის თასის მფლობელი გაგრა დაუპირისპირდნენ.

კოვიდრეგულაციების გამო მატჩი უმაყურებლოდ გაიმართა, მაგრამ თამაშს ერთი საინტერესო პერსონა ესწრებოდა – საქართველოს ეროვნული ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელი ვილი სანიოლი.

ფავორიტად დინამო ითვლებოდა, მაგრამ ჩვენი ქვეყნის ყველაზე ტიტულოვან გუნდს მეორელიგელთან ძალიან გაუჭირდა და მხოლოდ პენალტების სერიაში იმარჯვა. მატჩი ორმხრივი შეტევებით წარიმართა და ძირითადი დრო ფრედ, ანგარიშით 2:2 დასრულდა. ანგარიში მე-13 წუთზე გაგრამ გახსნა: გაგა კირკიტაძის გუნდმა სტანდარტული სიტუაციით ისარგებლა და დინამოელთა კარში თავური დარტყმით გიორგი ქობულაძემ გაიტანა. პირველ ტაიმში ანგარიში აღარ შეცვლილა, მაგრამ მომენტები იყო და უფრო მეტი გაგრელებს ჰქონდათ.

მეორე ნახევარი აქტიურად დინამომ დაიწყო და 47-ე წუთზე თბილისელებმა ანგარიში გაათანაბრეს – დავით კობოურის პასით ზორან მარუსიჩმა ისარგებლა და ახალ კლუბში სადებიუტო გოლი გაიტანა. გოლის შემდეგ გიორგი ნემსაძის გუნდმა სათამაშო უპირატესობა მოიპოვა და მეტოქის კარს კიდევ უფრო აქტიურად შეუტია. დინამოს მცდელობებმა შედეგი 67-ე წუთზე გამოიღო, გიორგი გაბედავამ საჯარიმოს მისადგომებთან ბურთი კარგად დაამუშავა და საშუალო მანძილიდან ძლიერი დარტყმით გაიტანა.

2 გაშვებული გოლის მიუხედავად, გაგრამ ბოლომდე იბრძოლა და 72-ე წუთზე ანგარიშის გათანაბრება შეძლო. კუთხურის შემდეგ საჰაერო ორთაბრძოლა გია ჩადუნელმა მოიგო, ბურთი ლუკა ნოზაძეს მივიდა და მანაც შანსი ხელიდან არ გაუშვა.

ძირითადი დროის ფრედ დასრულების შემდეგ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის რეგლამენტის თანახმად, დამატებითი დრო არ დაინიშნა და გამარჯვებული გამოსავლენად გუნდებმა პირდაპირ პენალტების სერია შეასრულეს. 11 მეტრიდან უკეთ დინამოელებმა დაარტყეს, მეტოქე 5:4 დაამარცხეს და საქართველოს სუპერთასს ისტორიაში მერვედ დაეუფლნენ.

მატჩის დასრულების შემდეგ დაჯილდოების ცერემონია გაიმართა. თბილისის დინამოს კუთვნილი თასი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან კობიაშვილმა გადასცა.

ამ გამარჯვებით როინ კვასხვაძემ და გიორგი გაბედავამ გიორგი დათუნაიშვილის რეკორდი გაიმეორეს – მესამე კლუბის მაისურით აღმართეს ეს ჯილდო. დინამომდე კვასხვაძე ზესტაფონში (2012) და ქუთაისის ტორპედოში (2018, 2019) თამაშისას გახდა სუპერთასის ჩემპიონი, გაბედავა კი 2013 წელს – ჩიხურას, 2020 წელს კი – საბურთალოს შემადგენლობაში. საინტერესოა, რომ 2013 და 2020 წლებში გაბედავას გუნდებმა სწორედ თბილისის დინამო დაამარცხეს.

გიორგი დათუნაიშვილმა ეს თასი 2009 წელს – ვიტ ჯორჯიაში თამაშის დროს, 2013 წელს – საჩხერის ჩიხურაში ასპარეზობისას, 2017 წელს კი სამტრედიასთან ერთად მოიპოვა.

სუპერთასის ისტორიაში პენალტების სერია მხოლოდ მეორედ დაინიშნა. კვასხვაძე იმ პირველ „საფეხბურთო ლატარიაშიც“ მონაწილეობდა და ერთი დარტყმა მაშინაც მოიგერია. 2013 წლის 22 თებერვალს თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე, უგოლო ძირითადი და დამატებითი დროის შემდეგ ზესტაფონმა დილას 4:2 სძლია.

კვასხვაძემ მეოთხე სუპერთასი მოიგო და გრიგოლ დოლიძის შედეგი გაიმეორა. მათზე წინ მხოლოდ გივი დიდავაა 5 ტრიუმფით.

გიორგი ნემსაძემ სამწვრთნელო კარიერაში პირველი ტიტული მოიპოვა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ზურა დოიჯაშვილი საქართველოში ჩამოასვენეს

მომღერალი ზურა დოიჯაშვილი საქართველოში ჩამოასვენეს. მას აეროპორტში კოლეგები, მეგობრები და ნათესავები დახვდნენ.

ზურა ხაჩიძე, ჯგუფ „ქუჩის ბიჭების“ წევრი, მომღერალი:

– მეგონა ვიცოდი, მაგრამ შენ მასწავლე, რა არის ნამდვილი ძმაკაცობა, შენ მასწავლე, რა არის მოყვასის სიყვარული, შენ მასწავლე, როგორ უნდა გიყვარდეს სამშობლო, როგორ უნდა აფასებდე შენს ქალაქს და რა არის, გერქვას თბილისელი, როგორ უნდა მიუძღვნა შენი თავი სხვას, როცა მას სჭირდები, როგორ უნდა გიყვარდეს შენი ოჯახი და კიდევ ბევრი სხვა რამე.

ხმამაღლა შემიძლია ვთქვა, რომ შენგან ძალიან ბევრი რამე ვისწავლე, ჩემო დოიჯ. ბედნიერი ვარ ყველა წუთისთვის, ყველა წამისთვის, რომლებიც შენთან გავატარე, მადლობა, ძმაო, ყველაფრისთვის. მთელი ცხოვრება ცოცხალი იქნები ჩემს გულში, ხშირად მოვალ, როცა გამიჭირდება, შენს საფლავთან და ხშირად ვილაპარაკებთ ყველაფერზე.

მაპატიე, რომ უკანასკნელი თხოვნა ვერ აგისრულე, რა მიზეზით, არ აქვს მნიშვნელობა. შენ ამ ქვეყანაში ბევრი სიკეთე დატოვე და ბევრი იბრძოლე სხვადასხვა ეტაპზე ამ ქვეყნისთვის. გულუხვად გაეცი სიკეთე ადამიანებში და კიდევ დიდი ხანი არ დაავიწყდება ამ ქვეყანას შენი უანგარო თანადგომა. მიყვარხარ, ზურა, ძმაო!

პ.ს. ზურა დოიჯაშვილი ისრაელში ხანგრძლივი მკურნალობის შედეგად გარდაიცვალა. ის 11 თვის განმავლობაში აპარატზე იყო მიერთებული და სიცოცხლისთვის იბრძოდა. მისი უკანასკნელი თხოვნა ოჯახისადმი საქართველოში დაბრუნება იყო. სამწუხაროდ, ზურა სამშობლოში ცოცხალი ვეღარ დაბრუნდა.

მომღერლის სამოქალაქო პანაშვიდი ანჩისხატის ეკლესიაში გაიმართება. ზურა დოიჯაშვილს 25 თებერვალს უკანასკნელ გზაზე გააცილებენ და საბურთალოს სასაფლაოზე დაკრძალავენ.

გოგი თოდაძე 76 წლის გახდებოდა

რეჟისორი გოგი თოდაძე 76 წლის გახდებოდა. ხელოვანი მისმა კოლეგა დიმიტრი ხვთისიაშვილმა გაიხსენა:

– გოგი თოდაძეს 76 წელი შეუსრულდებოდა. სამწუხაროდ, მეორე წელია, მის გარეშე ვხვდებით მისსავე დაბადების დღეს. გოგი თოდაძე იყო მაგალითი, თუ როგორ უნდა გიყვარდეს შენი პროფესია, როგორი თავდავიწყებით შეიძლება, იცხოვრო თეატრით. სადაც არ უნდა ყოფილიყო, ეს იქნებოდა მარჯანიშვილის თეატრი, სასოფლოს თეატრი, პიონერთა სასახლე, ბერიკები თუ მიწვევები ცალკეულ დადგმებზე სხვადასხვა თეატრში, ის ყოველთვის ასხივებდა ამ სიყვარულს პროფესიისადმი და გამორჩეულ და განსაკუთრებულ სიყვარულს მსახიობის პროფესიისადმი.

მე ვერ ვიხსენებ ვერც ერთ მის სპექტაკლს, სადაც ერთიორი, თუ მეტი არა, გამორჩეული სამსახიობო ნამუშევარი არ შემდგარიყო, თანაც ისეთი, რომელზეც მაყურებელი სპეციალურად იმ მსახიობის სანახავად მიდიოდა.

მოდით და ჩამოვთვალოთ ასეთი სახეები მსახიობთა მიხედვით: 1. მედეა ჯაფარიძე – ვარვარა კარპოვნა; 2. ელენე ყიფშიძე – ფოფია, ჩიტოლია, კარაპეტა დაბაღოვი, იბრუხტი; 3. სოფიკო ჭიაურელი – სარე, ამალია, იადონა; 4. ქეთევან კიკნაძე – ადელაიდა, კოკონა; 5. ვახტანგ ნინუა – მინდელოვი, გობრონ ლეშკაშელი; 6. გივი ბერიკაშვილი – ალექსანდრე, ბულიკა, ფილიპე, ჯენარო, ბიძია, ფოლსტაფი, ვანიჩკა; 7. მარინა ჯანაშია – ევრიდიკე, კნეინა; 8. კოტე მახარაძე – დონ სეზარი, ბაჩანა; 9. ნინო კობერიძე – დარეჯანი; 10. რეზო ჩხიკვიშვილი – კნიაზი, კალიგულა; 11. ნინო ჩხეიძე – ცაცანა; 12. ნინო კასრაძე – ცეზონია; 13. ზურა სტურუა – ვახუშტი; 14. დათო დვალიშვილი – ნაცარქექია; 15. თენგიზ მაისურაძე – ვანო, ყაფლანი; 16. გურანდა გაბუნია – მუნჯი ცოლი; 17. ზურა ბერიკაშვილი – სკვინჩა გოგია...

რომელი ერთი ჩამოვთვალო. იაკობ ტრიპოლსკის, დოდო ჭიჭინაძის, ჯემალ მონიავას, საშკა იოსელიანის, ნანი ჩიქვინიძის, გია ბურჯანაძის, მარლენ ეგუტიას, მედეა ბიბილეიშვილის, ალეკო გეწაძის, ნინო დუმბაძის, გიზო სიხარულიძის, მერაბ თაბუკაშვილის, ლეო ანთაძის, ასმათ ტყაბლაძის, მალხაზ გორგილაძის, ლიკა ქობულაძის, ვაჟა გელაშვილის, მამუკა ლორიასა და მრავალ სხვათა მიერ შესრულებული როლები მის სპექტაკლებში. მაპატიეთ, არტისტებო, ყველას ჩამოთვლა ფიზიკურად ვერ დაიტევდა ამ წერილის ფორმატს.

როგორ ხარობდა თითოეული წარმატებული როლით. თავად ყოფილ მსახიობს, ყოველთვის ესმოდა არტისტის და ხშირად, საკუთარი სარეჟისორო ჩანაფიქრის „საზიანოდ“, მას ბოლომდე „გაფრენის“ საშუალებასაც აძლევდა. მის მრავალ წარმატებულ სპექტაკლს შორის უეცრად მომაგონდა „ჩემი ეიფელის კოშკი“... სოფლის ორი ბერიკაცის ამბავი, რომლებიც ქარის წისქვილს აგებენ, სიმბოლოდ მოძრაობისა... სოფლის უკანასკნელი „დონ კიხოტები“, რომლებმაც ქარის წისქვილებთან ბრძოლის ნაცვლად მისი აგება გადაწყვიტეს... შესანიშნავად თამაშობდნენ ვახტანგ ნინუა და გივი ბერიკაშვილი. ეს როლი ბატონი ვახტანგისთვის უკანასკნელი აღმოჩნდა. უმძიმესი სენით შეპყრობილი ვახტანგ ნინუა პრაქტიკულად ლოგინიდან წამოაყენა გოგი თოდაძემ და ამ როლით სიცოცხლე გაუხანგრძლივა მას. ბატონი ვახტანგის შემდეგ ბატონი იაშა ტრიპოლსკი შევიდა ამ სპექტაკლში. სამწუთიან ეპიზოდს თამაშობდა ლენა ყიფშიძე ამ წარმოდგენაში. ამ სამ წუთში 5-ჯერ უკრავდა მაყურებელი ტაშს.

გოგი თოდაძეს შეეძლო, დღესასწაულები მოეწყო სწორედ რომ თეატრალური დღესასწაულის მომწყობი ქართული სცენის ჯადოქრებისთვის.

ასეთივე შემართებით მუშაობდა ის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის თეატრში. ეს თეატრი კუკური მჟავანაძის პერიოდიდან მოყოლებული ბრწყინავდა, გოგი თოდაძემ კი საერთაშორისო აღიარება მოუტანა ამ არაჩვეულებრივ თვითმოქმედ დასს. ჩვენი უსაყვარლესი გოგიჩაც ხომ სწორედ ამ დასში დაფრთიანდა.

მისი ცხოვრების მთავარი გამოწვევა კი ალბათ სკოლა-სტუდია „ბერიკების“ დაარსება და პიონერთა სასახლის სამხატვრო ხელმძღვანელად მუშაობის წლები გახლდათ. რამდენ თაობას შეაყვარა თეატრი, რამდენ თაობას გაულამაზა ბავშვობა, როგორც კეთილმა მეზღაპრემ და დააყენა ცხოვრების გზაზე.

ბოლო წლებში პედაგოგიურ სარბიელზე უმნიშვნელოვანეს წარმატებებს მიაღწია. მისი აღზრდილები დღეს საქართველოს სხვადასხვა თეატრის წამყვანი არტისტები არიან... თუნდაც ჩვენი, მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობი ნიკა ფაიქრიძე ანდა მუსიკისა და დრამის თეატრის მსახიობი გიორგი ბახუტაშვილი და სხვა თუ სხვა. მისმა სარეჟისორო ფაკულტეტის სტუდენტმა გეგა გაგნიძემ თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში დადგმული „ბალიშის კაცუნათი“ სასიამოვნოდ გაოცებული დატოვა მთელი თეატრალური სამყარო და დიდ იმედის მომცემ ახალგაზრდა რეჟისორად იქცა.

სადღაც ყური მოვკარი, გოგი თოდაძეს მარტო „ეზოში ავი ძაღლიას“ დადგმა ეყოფოდა ბიოგრაფიისთვისო. არა, ბატონებო, ის მხოლოდ დასაწყისი იყო... შემდეგ 90-მდე სპექტაკლი, უამრავი წარმატება და სიხარული მოუტანია ქართველი მაყურებლისთვისაც და ქართული თეატრისთვისაც, თუმცა ამით არასოდეს უამაყია. მუდამ გაწონასწორებული, მუდამ თავმდაბალი და მორცხვიც კი, სიცოცხლის ბოლო წუთამდე აგრძელებდა შრომას თავდავიწყებამდე ქართული თეატრისა და მომავალი თაობის სიყვარულით.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ქალი შეცდომამ მილიონერად აქცია

ამერიკის ვირჯინიის შტატის მცხოვრებმა ინტერნეტით ლატარიის ბილეთის შეძენის დროს შეცდომა დაუშვა და შედეგად ჯეკპოტი მოხსნა. მისმა მოგებამ ორი მილიონი დოლარი შეადგინა.

ბეტი ვონგი რეგულარულად თამაშობს მეგა მილიონის და პოუვერბოლის ლატარიას. როგორც წესი, ის ერთ ბილეთს ყიდულობს, მაგრამ ამ ჯერად შეცდომა დაუშვა და ინტერნეტში 50 ცალი მომენტალური ლატარიის ბილეთი შეიძინა. ამ შეცდომის წყალობით კი ქალი მილიონერი გახდა.

– ვიფიქრე, რომ ციფრები ამერია და ამიტომ მეუღლე გავაღვიძე, – იხსენებს ვონგი. მისი თქმით, იმ ღამეს მას და მის მეუღლეს მოგებით გამოწვეული მღელვარებისგან თვალი არ მოუხუჭიათ. გათამაშების გამარჯვებულის თქმით, მოგებული თანხა ოჯახზე მზრუნველობაში საგრძნობლად დაეხმარებათ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

როცა მეოთხედი მოსაგებად არ კმარა

საქართველო-ფინეთი 70:78
(17:30, 13:19, 27:8, 13:21)

ევრობასკეტ 2022-ის საკვალიფიკაციო ტურნირის 4 გამარჯვებით დაწყების შემდეგ ილიას ზუროსის გაწვრთნილმა საქართველოს ნაკრებმა ბოლო 2 შეხვედრა წააგო და ე ჯგუფში საბოლოოდ მე-2 ადგილი დაიკავა. ეს ადგილი ჩვენს ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის საგზურს კი მოუტანდა, მაგრამ ეს მისია კვალიფიკაციის დაწყებამდე შესრულებული ჰქონდა, რადგან საქართველო მომავალი ევრობასკეტის ერთ-ერთი მასპინძელია.

პირველ პერიოდში ფინელებმა 10-დან 6 სამქულიანი ჩააგდეს და დამსახურებულად გალიდერდნენ – 30:17. მეორე მეოთხედის დასაწყისში საქართველოს ნაკრების დაცვა ცოტა უფრო აგრესიული გახდა და ფინელებს პერიმეტრიდან ჩაგდება გაუჭირდათ.

თუმცა ჩვენებს არც შეტევაში გამოსდიოდათ რამე და საწყის 3 წუთში მხოლოდ 4 ქულა ჩავარდა. ფინელებმა მეორე ათწუთეულში მხოლოდ 3 სამქულიანი სტყორცნეს და ვერც ერთი ჩაადგეს, თუმცა ანგარიშში სხვაობის გაზრდა სწრაფი შეტევებითა და შორეული ორქულიანებით შეძლეს. მეორე პერიოდის შემდეგ ფინეთი 49:30 დაწინაურდა, რითაც გამარჯვებაზე ხმამაღალი განაცხადი გააკეთა.

მესამე პერიოდი იყო ქართული კალათბურთისთვის ერთ-ერთი დასამახსოვრებელი მონაკვეთი. ზუროსის გუნდმა 19-ქულიანი ჩამორჩენა 10 წუთში აღმოფხვრა და ბოლო პერიოდს თანაბარი ანგარიშით შეხვდა – 57:57. ქართველებმა ეს ბრძოლითა და დაცვაში მაქსიმუმის გაღებით მოახერხეს. ოლიმპის ფორვარდმა კახა ჯინჭარაძემ ფინელთა სნაიპერი სასუ სალინი მაქსიმალურად შეავიწროვა, ხოლო საქართველოს დაცვა გადაულახავ ზღუდედ იქცა სკანდინავიელებისთვის.

საიმედო დაცვამ ჩვენებს შეტევაშიც გზა გაუხსნა. დუდა სანაძე, ბექა ბურჯანაძე, მიხეილ ბერიშვილი და გიორგი შერმადინი ქულას ქულაზე იხვეჭდნენ, რომლებსაც თითო ჯერზე ხელი სათადარიგო მოთამაშეებმა – ბექა ბექაურმა და საბა ლობჯანიძემაც შეაშველეს და ამ უკანასკნელის შედეგიანი გარღვევის შემდეგ მესამე პერიოდის ბოლო წუთზე ანგარიში გათანაბრდა.

ნათქვამია, ვინც მესამე პერიოდს იგებს, ის იგებს თამაშსაცო, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ეს ამ მატჩში არ გამართლდა. მიუხედავად ათწუთეულის 27:8 მოგებისა, ბოლო პერიოდში ქართველებს ისევ გაურთულდათ საქმე. ფინელებმა მთელი დაცვითი ზღუდე შერმადინისკენ მიმართეს, რომელმაც ხეირიანი პასი ვერაფრით მიიღო, ხოლო ჩვენებს შორი მიზანი ბოლომდე არ გაჰყვათ, პლუს რამდენიმე უხეში შეცდომა დაუშვეს და ფაქტობრივად ხელჩაქნეული თამაშის შემობრუნების შემდეგ მატჩი ხელმეორედ წააგეს.

ბოლო წუთებზე ზუროსის გუნდს არაერთხელ ჰქონდა ხელსაყრელი მომენტი, მოსაგებ ბრძოლაში ჩაბმულიყო, თუმცა ხან არ გაუმართლა, ხანაც ტაქტიკურად გაუმართლებელი ნაბიჯი გადადგა და ფინელებმა გამარჯვება გაიანაღდეს – 78:70. სკანდინავიელთაგან 14-14 ქულით საუკეთესო შედეგი ელიას ვალტონენმა და ერიკ მერფიმ აჩვენეს. საქართველოს ნაკრებში საუკეთესო შედეგი გიორგი შერმადინს ჰქონდა, რომელმაც 19 ქულა, 12 მოხსნა, 3 პასი და 2 ჩაჭრა მიითვალა. 18 ქულა და 5 მოხსნა დუდა სანაძემ მოაგროვა, ბექა ბურჯანაძის ანგარიშზე კი 11 ქულა, 7 მოხსნა და 2 ჩაჭრა დაგროვდა.

საქართველო მეშვიდეა

საქართველოს წყალბურთელთა ნაკრებმა ტოკიოს ოლიმპიადის შესარჩევ ეტაპზე ასპარეზობა მაჟორულ ნოტაზე დაასრულა. დეიან სტანოევიჩის გუნდმა კანადასთან 18:10 მოიგო და ტურნირზე მე-7 ადგილი დაიკავა.

საქართველოს უპირატესობა ამ შეხვედრაში თვალსაჩინო იყო და მეტოქეს ძალიან ადვილადაც აჯობა. ყველაფერი მეორე პერიოდმა გადაწყვიტა, რომელიც ქართველებმა 8:3 მოიგეს და თამაშიც ამან გარდატეხა.

საქართველოვე ნაკრებმა როტერდამში მთლიანობაში 7 მატჩი ჩაატარა და 3 მოიგო, 2-ჯერ კანადასთან (ერთხელ ჯგუფურ ეტაპზე) და ერთხელ ბრაზილიასთან, ერთსაც, დიდი ალბათობით, თურქეთთან მოიგებდა, მაგრამ ეს მატჩი არ გაიმართა. სტანოევიჩის გუნდი ამდენჯერვე დამარცხდა – საბერძნეთთან, ჩერნოგორიასთან, ხორვატიასთან და ნიდერლანდებთან. სხვათა შორის, სტანოევიჩის გუნდი ჯგუფში ბერძნებთან და ჩერნოგორიელებთან დაძაბულ ბრძოლაში დამარცხდა, ხოლო ამ გუნდებმა ფინალში ითამაშეს, სადაც ჩერნოგორია უფრო ძლიერი აღმოჩნდა. ორივე გუნდმა ავტომატურად მოიპოვა ტოკიოს ოლიმპიური თამაშების საგზური.

მესამე საგზური ხორვატია-რუსეთის მატჩში გათამაშდა, რომელიც ხორვატებმა დაძაბულ ბრძოლაში მოიგეს. ძირითადი დრო ფრედ დასრულდა, ხოლო პენალტები უკეთ შეასრულეს.

ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

21 თებერვალი

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ინგლისი. პრემიერლიგა

ვესტ ჰემი-ტოტენჰემი 2:1
ასტონ ვილა-ლესტერი 1:2
არსენალი-სიტი 0:1
მანჩესტერი-ნიუკასლი 3:1

სატურნირო ცხრილი:

1.სიტი	25	18	5	2	50-15	59
2.მანჩესტერი	25	14	7	4	53-32	49ა
3.ლესტერი	25	15	4	6	44-27	49
4.ვესტ ჰემი	25	13	6	6	39-29	45
5.ჩელსი	25	12	7	6	41-25	43
6.ლივერპული	25	11	7	7	45-34	40
7.ევერტონი	24	12	4	8	37-33	40
8.ასტონ ვილა	23	11	3	9	37-26	36
9.ტოტენჰემი	24	10	6	8	37-27	36
10.არსენალი	25	10	4	11	31-26	34
11.ვულვზი	25	9	6	10	26-32	33
12.ლიდსი	24	10	2	12	40-43	32
13.საუთჰემპტონი	24	8	6	10	31-40	30
14.კრ.პალასი	24	8	5	11	27-42	29
15.ბარნლი	25	7	7	11	18-30	28
16.ბრაიტონი	24	5	11	8	25-30	26
17.ნიუკასლი	25	7	4	14	26-43	25
18.ფულემი	25	4	10	11	21-32	22
19.ვესტ ბრომვიჩი	25	2	8	15	19-55	14
20.შეფილდი	25	3	2	20	15-41	11

გერმანია. ბუნდესლიგა

აუგსბურგი-ლევერკუზენი 1:1
ჰერტა-ლაიფციგი 0:3
ჰოფენჰაიმი-ვერდერი 4:0

სატურნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	22	15	4	3	62-31	49
2.ლაიფციგი	22	14	5	3	40-18	47
3.ვოლფსბურგი	22	11	9	2	35-19	42
4.აინტრახტი	22	11	9	2	45-30	42
5.ლევერკუზენი	22	10	7	5	40-24	37
6.დორტმუნდი	22	11	3	8	45-31	36
7.უნიონი	22	8	9	5	35-25	33
8.გლადბახი	22	8	9	5	38-33	33
9.ფრაიბურგი	22	8	7	7	35-34	31
10.შტუტგარტი	22	7	8	7	39-35	29
11.ჰოფენჰაიმი	22	7	5	10	36-39	26
12.ვერდერი	21	5	8	8	24-31	23
12.ჰოფენჰაიმი	22	7	5	10	36-39	26
13.აუგსბურგი	22	6	5	11	22-35	23
14.კიოლნი	22	5	6	11	20-36	21
15.ჰერტა	22	4	6	12	26-40	18
16.არმინია	21	5	3	13	18-38	18
17.მაინცი	22	4	5	13	23-43	17
18.შალკე	22	1	6	15	15-56	9

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ვიურცბურგერი-ჰამბურგი 3:2
კარლსრუე-ნიურნბერგი 0:1
ფორტუნა-ჰანოვერი 3:2

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ბარსელონა-კადისი 1:1
სოსიედადი-ალავესი 4:0
უესკა-გრანადა 3:2
ბილბაო-ვილიარეალი 1:1

სატურნირო ცხრილი:

1.ატლეტიკო	23	17	4	2	45-16	55
2.რეალი	24	16	4	4	42-19	52
3.ბარსელონა	23	14	5	4	50-22	47
4.სევილია	22	14	3	5	32-16	45
5.სოსიედადი	24	11	8	5	41-20	41
6.ვილიარეალი	24	8	13	3	33-25	37
7.ბეტისი	24	11	3	10	32-38	36
8.ლევანტე	24	7	10	7	34-33	31
9.გრანადა	24	8	6	10	29-41	30
10.ბილბაო	23	8	5	10	33-27	29
11.სელტა	24	7	8	9	29-36	29
12.ვალენსია	24	6	9	9	30-32	27
13.ოსასუნა	23	6	7	10	22-31	25
14.კადისი	24	6	7	11	21-40	25
15.ხეტაფე	24	6	6	12	17-30	24
16.ალავესი	24	5	7	12	20-38	22
17.ელჩე	22	4	9	9	20-31	21
18.ეიბარი	24	4	9	11	19-27	21
19.ვალიადოლიდი	24	4	9	11	22-35	21
20.უესკა	24	3	10	11	21-35	19

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ლეგანესი-ტენერიფე 1:0
მალიორკა-ალმერია 2:0
ხირონა-კასტელონი 2:1
ლუგო-ლოგრონიესი 1:1
მალაგა-რაიო 2:0

იტალია. სერია ა

პარმა-უდინეზე 2:2
მილანი-ინტერი 0:3
ატალანტა-ნაპოლი 4:2
ბენევენტო-რომა 0:0

სატურნირო ცხრილი:

1.ინტერი	23	16	5	2	57-24	53
2.მილანი	23	15	4	4	45-28	49
3.ლაციო	23	13	4	6	38-30	43
4.რომა	23	13	5	5	47-35	44
5.ატალანტა	23	12	7	4	53-31	43
6.იუვენტუსი	21	12	6	3	41-19	42
7.ნაპოლი	22	13	1	8	47-25	40
8.სასუოლო	23	9	8	6	37-34	35
9.ვერონა	23	9	7	7	30-26	34
10.სამპდორია	23	9	3	11	33-34	30
11.ჯენოა	23	6	8	9	26-33	26
12.ბოლონია	23	6	7	10	30-37	25
13.უდინეზე	23	6	7	10	25-33	25
14.ფიორენტინა	23	6	7	10	25-35	25
15.ბენევენტო	23	6	7	10	25-42	25
16.სპეცია	23	6	6	11	30-41	24
17.ტორინო	23	3	11	9	33-41	20
18.კალიარი	23	3	6	14	24-41	15
19.პარმა	23	2	8	13	17-45	14
20.კროტონე	22	3	3	16	23-52	12

იტალია. სერია ბ

რეჯინა-პორდენონე 1:0
ლეჩე-კოზენცა 3:1

საფრანგეთი. ლიგა 1

მონპელიე-რენი 2:1
ლანსი-დიჟონი 2:1
ნიმი-ბორდო 2:0
ნიცა-მეცი 1:2
სტრასბური-ანჟე 0:0
ლორიანი-ლილი 1:4
პსჟ-მონაკო 0:2

სატურნირო ცხრილი:

1.ლილი	26	17	7	2	46-16	58
2.ლიონი	26	16	7	3	54-24	55
3.პსჟ	26	17	3	6	57-17	54
4.მონაკო	26	16	4	6	54-37	52
5.ლანსი	26	11	7	8	37-35	40
6.მეცი	26	10	8	8	31-25	38
7.მარსელი	25	10	8	7	33-29	38
8.რენი	25	10	8	7	32-28	38
9.მონპელიე	26	11	5	10	43-46	38
10.ანჟე	26	10	5	11	30-40	35
11.ბორდო	26	9	6	11	27-31	33
12.ბრესტი	26	9	4	13	39-47	31
13.რეიმსი	26	7	9	10	32-34	30
14.სტ.ეტიენი	26	7	9	10	26-37	30
15.სტრასბური	26	8	5	13	34-40	29
16.ნიცა	26	8	5	13	31-38	29
17.ლორიანი	25	6	5	14	31-49	23
18.ნანტი	26	4	11	11	26-41	23
19.ნიმი	25	6	3	16	24-51	21
20.დიჟონი	26	2	9	15	18-40	15

ნიდერლანდები. ეროვნული დივიზიონი

ტვენტე-ფეინოორდი 2:2
ვალვაიკი-ერაკლესი 3:0
ჰერენვენი-გრონინგენი 1:1
პსვ-ვიტესი 3:1
აიაქსი-სპარტა 4:2

პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

ფერეირა-გიმარაეში 2:1
რიუ ავე-ფამილიკაო 0:1
ბრაგა-ტონდელა 4:2
ფარენსე-ბენფიკა 0:0

ავსტრია. ბუნდესლიგა

ადმირა-ლინცერი 1:2
შტურმი-ვოლფსბერგერი 1:2
ზალცბურგი-რაპიდი 4:2

შოტლანდია. პრემიერლიგა

რეინჯერსი-დ.იუნაიტედი 4:1
როსი-სელტიკი 1:0

ბელგია. ა დივიზიონი

ანდერლეხტი-კორტრაიკი 0:2
ვარეგემი-სტანდარდი 3:2
გენკი-ბეერსხოტი 1:2
ანტვერპენი-სტ.ტრუიდენი 0:0

თურქეთი. სუპერლიგა

ერზრუმი-ჰატაი 1:3
გაზიანთები-ანთალია 0:0
სივასი-ქაისერი 2:0
ფენერბახჩე-გიოზთეფე 0:1

საბერძნეთი. სუპერლიგა

ვოლოსი-აპოლონი 2:0
პაოკი-ლამია 4:0
იანინა-ოფი 1:0
ოლიმპიაკოსი-არისი 1:1

ჩეხეთი. 1 ლიგა

პლზენი-ბოჰემიანსი 1905 ..... 3:1
ჩესკე-ოპავა 0:1
კარვინა-ლიბერეცი 1:1
ტეპლიცე-სლავია 1:1

შვეიცარია. სუპერლიგა

ლუგანო-ლუცერნი 2:3
ციურიხი-სიონი 1:1
იანგ ბოიზი-სერვეტი 2:0

პოლონეთი. ექსტრაკლასა

ზაგლებიე-ჩენსტოხოვა 1:2
ლეხი-სლასკი 1:0

უკრაინა. პრემიერლიგა

ინგულეცი-ვორსკლა 2:2
შახტარი-რუხი 2:0
დესნა-დინამო 1:1

დანია. სუპერლიგა

რანდერსი-ნორდსიელანდი 1:1
ჰორსენსი-ოდენსე 0:0
ორხუსი-სონდერიისკე 2:0
ბრონდბიუ-ვეილე 2:1

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ

ავსტრალიის ღია პრიზეობა

ᲙᲐᲪᲔᲑᲘ

ფინალი

ჯოკოვიჩი-მედვედევი 7:5,6:2,6:2

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სამგლოვიარო განცხადებები

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს სუბტროპიკული ინსტიტუტის ღვაწლმოსილი მეცნიერი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

გურამ ბაძაღუა

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის დედამიწის ფიზიკისა და გეომაგნეტიზმის სექტორის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

გიორგი ბერიშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ბატონი ნოდარ ცანავას ხსოვნას

მოულოდნელად გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერ-ეკონომისტი და პედაგოგი, პროფესორი ნოდარ ცანავა. მას ხანგრძლივად ეკავა ხელმძღვანელი თანამდებობები სამეცნიერო-კვლევით და საჯარო დაწესებულებებში, სადაც თავი გამოიჩინა, როგორც მაღალკვალიფიციურმა, ნოვატორმა მუშაკმა.

ბატონი ნოდარ ცანავას მრავალმხრივ საქმიანობაში განსაკუთრებული ადგილი აქვს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე პედაგოგიურ მოღვაწეობას. ორატორული ნიჭისა და უახლეს პრობლემათა წვდომის დიდი უნარის წყალობით ადვილად ახერხებდა, შეეყვანა სტუდენტები თანამედროვე ეკონომიკის ურთულეს ლაბირინთებში, უვითარებდა მათ კრიტიკული აზროვნების უნარს, აჩვენებდა მიზნის მიღწევის ზოგად და კონკრეტულ გზებს. მის აღზრდილთაგან დღეს მრავალი მეცნიერი, სახელმწიფო მოღვაწე და წარმატებული ბიზნესმენია.

ახარებდა ნიჭიერი ახალგაზრდობის მომრავლება, უყვარდა მათ პოტენციურ შესაძლებლობებზე მსჯელობა, უღვივებდა სტუდენტებს ჭეშმარიტად პატრიოტულ სულისკვეთებას, წუხდა ახალგაზრდობის სულიერი აღზრდის ზოგიერთ ნაკლზე.

ვერ ეგუებოდა პოლიტიკურ ექსტრემიზმს, უფრო კომპრომისების მომხრე იყო, განსაკუთრებით ღრმად განიცდიდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას.

გატაცებული იყო პოეზიით, ზედმიწევნით კარგად იცნობდა და არტისტულად კითხულობდა მსოფლიო პოეზიის შედევრებს, თვითონაც წერდა ფილოსოფიურ ლექსებს.

ნათელი კაცი იყო და ღრმად ჩაიბეჭდა ჩვენს ხსოვნაში.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაკროეკონომიკის კათედრა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ᲢᲔᲚ.: 599-532-690 – 12-ᲓᲐᲜ 17 ᲡᲐᲐᲗᲐᲛᲓᲔ

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ყოველდღიური ხუთჯერადი ლოცვა არაბულ ქვეყნებში; 2. უძველესი აკადემია კახეთში; 3. ეპიდემია, რომელიც მოსახლეობის დიდ ნაწილზე ვრცელდება; 4. მდინარე ზუგდიდში; 6. ქართული ლუდი; 8. ჯუჯა სახელმწიფო ევროპაში; 11. დიდი ფართობის ნოყიერი სახნავი მიწა; 12. ქუჩის სახელწოდება ძველად საქართველოში; 16. შოკოლადის მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 17. მკვრივი, დრეკადი იოგი; რომლითაც კუნთები მიმაგრებულია ძვალზე; 18. მონასტერი სიღნაღის რაიონში.

თარაზულად: 1. სირბილი, ცურვა მოკლე დისტანციაზე; 5. ესპანელი კინოვარსკვლავი ქალი; 7. ძვირფასი სარეწაო თევზი; 9. დელფინის ერთ-ერთი სახეობა; 10. ასანთის ძველი ქართული სახელწოდებაა; 13. შემოწმება მოქმედების სისწორისა და კანონიერების დადგენის მიზნით; 14. დიდი სატრანსპორტო, სამგზავრო გემი; 15. მინერალური წყალი სტეფანწმინდის რაიონში; 19. უნგრული ჯარის ძველი სახელწოდება; 20. ბალნეოლოგიური კურორტი იმერეთში; 21. ქართველ მწერალ ეგნატე ინგოროყვას ლიტერატურული ფსევდონიმი; 22. ზღვისპირა კურორტი გაგრის რაიონში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ურბნისი; 2. ნებიერი; 3. ინვარი; 4. შკოდა; 5. ესტანსია; 7. სნო; 11. ნასერი; 15. პოლიცია; 16. ელგუჯა; 17. მონცა; 18. იბიცა; 20. სტეპი; 22. ლეკი.

თარაზულად: 6. რამოსი; 8. ჰეტმანი; 9. პროექტი; 10. ნეილონი; 12. ბორტი; 13. ალენი; 14. ბოქსიორი; 19. ვალენსა; 21. ნობელი; 23. ბურგი; 24. აცტეკა; 25. ფილიპსი; 26. მანსარდი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. პლაზმა; 2. ლონდრე; 3. მუშტაიდი; 4. ელიავა; 6. მორიკონე; 8. არაგვი; 11. ბოტანიკა; 12. იოკასტე; 16. კანოე; 17. თოიძე; 18. ნოკია.

თარაზულად: 1. პროლოგი; 5. ცხუმი; 7. მუხთალი; 9. ზანდური; 10. მარშალი; 13. ვანდომი; 14. ბორანო; 15. ფოკა; 19. კასკადი; 20. ბოტსვანა; 21. ჰეინეკენი; 22. მახათა.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

23 თებერვალი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.3084

ევრო — 4.0138

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.6410

100 რუსული რუბლი — 4.4736

ამინდის პროგნოზი 23 თებერვლისათვის

2018311219674

23 თებერვლიდან

ქართული საბავშვო მოთხრობის ანთოლოგია

ტომი 2

სერია „ქართული საბავშვო მოთხრობის ანთოლოგიაში“ თავმოყრილია სხვადასხვა ეპოქისა და მიმდინარეობის ქართველი მწერლების რჩეული საბავშვო მოთხრობები. მათი წაკითხვა ფრიად გაამდიდრებს ბავშვის ფანტაზიას, წარმოსახვის უნარს, ლექსიკას და შეაყვარებს ლიტერატურას.

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

სოფო შევარდნაძე დედა გახდება

ტელეწამყვანი სოფო შევარდნაძე პირველ შვილს ელოდება. 42 წლის ჟურნალისტმა ორსულობის შესახებ ინფორმაცია სოციალურ ქსელში თავად გაავრცელა.

ვინ არის ბავშვის მამა? – ამ კითხვაზე სოფო შევარდნაძემ ათასობით ცნობისმოყვარე უპასუხოდ დატოვა. ტელეწამყვანს მიაჩნია, რომ ამ ეტაპზე მამის ვინაობის გამხელა აუცილებელი არ არის.

ედუარდ შევარდნაძის შვილიშვილი ოფიციალურად გათხოვილი არასდროს ყოფილა, თუმცა მას არაერთ ცნობილ მამაკაცთან აკავშირებდნენ და თავბრუდამხვევ რომანებზეც აქტიურად ჩურჩულებდნენ. სოფო წლებია, მოსკოვში ცხოვრობს და ჟურნალისტიკაში აქტიურად არის ჩაბმული. ის საქართველოში „ცეკვავენ ვარსკვლავების“ ჟიურიში იყო მოწვეული.

ლექს სენი ისევ გაქურდეს

რეპერი ლექსო ქავთარაძე იგივე ლექს სენი ისევ გაქურდეს. მის მანქანას ბოროტმოქმედები შეეჩვივნენ და ეტაპობრივად ნაწილებს ჰპარავენ.

არასასიამოვნო შემთხვევის შესახებ ინფორმაცია და ფოტოები ხელოვანმა სოციალურ ქსელში გაავრცელა. მისი თქმით, იმედი არ აქვს, რომ მანქანის მოპარულ ნაწილს იპოვიან.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

იუმორი

ტელეფონის ზარი:

– ალო, ეს ცხოველთა დაცვის საზოგადოებაა?

– დიახ, ვინმემ გაწყენინათ?

●●●

ქალების აბანოს ცეცხლი გაუჩნდა. ადგილზე მისული მეხანძრეები ხედავენ, აბანოსთან მამაკაცი დგას და ხითხითებს. ერთ-ერთი მეხანძრე ეკითხება:

– რა გაცინებს?

– დაგაგვიანდათ, ბიჭებო, დაგაგვიანდათ.

– რატომ, აბანო ხომ ჯერ ისევ იწვის.

– აბანო კი იწვის, მაგრამ შიშველი ქალები უკვე გაიქცნენ!

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– ამ დასვენების დღეებში რას აპირებ?

– რას და კომპიუტერზე დამოკიდებულებას ალკოჰოლზე დამოკიდებულებით უნდა შევუტიო!

●●●

მოსამართლე განსასჯელს ეუბნება:

– თქვენ მოგესაჯათ 1000 ლარი ჯარიმა სახელმწიფო თანამდებობის პირისთვის შეურაცხყოფის მიყენებისთვის. რაიმეს თქმა ხომ არ გსურთ?

– საერთოდ მინდოდა, მაგრამ ისეთი ტარიფები გაქვთ, რომ...

●●●

მაღაზიაში მამაკაცი გამყიდველს მიმართავს:

– 25 გრამი ყველი ამიწონეთ.

– ბევრი ხომ არ მოგივათ? – დამცინავი ღიმილით ეკითხება გამყიდველი.

– თუ ჭკვიანად არ იქნები, დაჭრასაც მოგთხოვ!

●●●

საბაჟოზე მებაჟე ტურისტს მიმართავს:

– ვალუტა, იარაღი, ნარკოტიკები?

– არა, გმადლობთ, თუ შეიძლება, ფინჯანი ყავა.

კარიმ ბენზემამ ტრავმა მიიღო

მადრიდის რეალის ფრანგმა ფორვარდმა კარიმ ბენზემამ ერთ-ერთ ვარჯიშზე ტრავმა მიიღო და ის, სავარაუდოდ, ორ კვირას გამოტოვებს, რაც იმას ნიშნავს, რომ რეალს ატალანტასთან მატჩში ვერ დაეხმარება.

ბენზემას ტრავმა რეალისთვის, შესაძლოა, დიდი პრობლემა იყოს, რადგან კარიმი შეტევის ლიდერია და მადრიდში მასზე ყოველთვის დიდ იმედებს ამყარებენ.

ატალანტასთან პირველი მატჩი ბერგამოში 24 თებერვალს გაიმართება.

პიკე: „მნიშვნელოვანი ქულები დავკარგეთ“

ბარსელონის ცენტრალურმა მცველმა ჟერარ პიკემ განაცხადა, რომ კადისთან ფრე ბარსელონისთვის ცუდი შედეგია და კატალონიელებმა მნიშვნელოვანი ქულები დაკარგეს. კადისს ფრე არ დაუმსახურებია და მას, უბრალოდ, გაუმართლა:

– ასეთი შედეგი არ უნდა დაფიქსირებულიყო, რადგან მთელი მატჩის განმავლობაში უპირატესობა გვქონდა და მეორე გოლთან ახლოს ვიყავით, მაგრამ კადისმა ერთადერთი შანსი გამოიყენა. სამწუხაროა, რომ ქულები დავკარგეთ.

კონტე: „მილანთან ყველა ფეხბურთელმა იდეალურად ითამაშა“

ინტერმა მილანი 3:0 დაამარცხა და პირველი ადგილი გაიმყარა.

ანტონიო კონტეს თქმით, მის გუნდს ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო აქვს იმისთვის, რომ ოპტიმალურ ფორმაში ჩადგეს:

– ძალიან გამიხარდა, რომ მილანთან ასეთი შეხვედრა ჩავატარეთ და ყველა ფეხბურთელმა თავისი მოვალეობა იდეალურად შეასრულა. შემდეგი მატჩები ასევე მნიშვნელოვანი იქნება, რადგან გამარჯვებების სერია უნდა გავაგრძელოთ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ავსტრალიაში ჯოკოვიჩი მეფობს

ნოვაკ ჯოკოვიჩი ავსტრალიის ღია პირველობის გამარჯვებულია და სერბი ჩოგბურთელი როჯერ ფედერერისა და რაფაელ ნადალის სუპერრეკორდს კიდევ ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა!

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა ფინალში რუსი დანილ მედვედევი 3 სეტში დადო ბეჭებზე – 7:5, 6:2, 6:2 გაანადგურა და ავსტრალიის ღია ჯამში მეცხრედ მოიგო. სულ კი ჯოკოვიჩს უკვე 18 დიდი სლემი აქვს მოგებული და ფედერერ-ნადალის რეკორდამდე (20-20) ახლა უკვე 2 ტიტული აშორებს.

ნოლემ ფინალი გრანდიოზულად დაიწყო და 3 გეიმის შემდეგ უკვე 3:0-ს იგებდა, რადგან მედვედევმა პირველივე საკუთარი მოწოდება დათმო. თუმცა რუსმა მაშინვე შეძლო თამაშის გამოსწორება და ანგარიში გაათანაბრა. პირველი სეტის გადაწყვეტ ფაზაში ჯოკოვიჩმა მაინც შეძლო უპირატესობის მოპოვება და მეორე ბრეიკით სეტი 7:5 მოიგო.

მეორე სეტში რუსი უკვე უშანსოდ იყო. მართალია, მედვედევმა პირველივე გეიმში აიღო ბრეიკი, მაგრამ ჯოკოვიჩმა მეორე გეიმშივე გაათანაბრა ანგარიში და მერე ბოლომდე დომინირებდა. როცა ანგარიში 5:2 გახდა სერბის სასარგებლოდ, გაბრაზებულმა მედვედევმა საკუთარი ჩოგანი დალეწა და უკვე ცხადი იყო, რომ ფინალს თავის სასარგებლოდ ვეღარ შეატრიალებდა.

მესამე სეტში ჯოკოვიჩმა საქმე უკვე მარტივად მიიყვანა გამარჯვებამდე. სულ რაღაც 22 წუთის შემდეგ ანგარიში უკვე 4:1 იყო სერბის სასარგებლოდ და მისი ბოლომდე მიყვანა სერბს აღარ გასჭირვებია.

მოამზადა
მიხეილ ჟორჟოლიანმა

ყველაზე ძვირადღირებული ნაგაზი 38 ათას დოლარად გაიყიდა

ბორდერ-კოლის ჯიშის ძაღლი უელსის ქალაქ დოლგელაუდან გინესის რეკორდების წიგნშია შეყვანილი, როგორც ყველაზე ძვირადღირებული ნაგაზი მსოფლიოში.

გინესის რეკორდების წიგნის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ბორდერ-კოლი, სახელად კიმი, აუქციონზე 38,8 ათას დოლარად გაიყიდა. ძაღლი ონლაინვაჭრობაზე იყიდეს.

წინა რეკორდი ეკუთვნოდა ნაგაზს, სახელად ჰენას, რომელიც 2020 წლის ოქტომბერში 26 ათას დოლარად გაიყიდა.

კიმის მაღალი ფასი განსაკუთრებით აღსანიშნავია იმის გათვალისწინებით, რომ აუქციონი მისი პირველი დაბადების დღის წინ გაიმართა. ფერმერმა



დიუულ ჯენკინსმა, რომელმაც კიმი გამოზარდა, განაცხადა, რომ მისი ინტელექტი სამი წლის ნაგაზის განვითარების ინტელექტს შეესატყვისებოდა.

– ის აკეთებდა ყველაფერს, მწყემსავდა ნახირსა და ფარას, მზად იყო ნებისმიერი გამოცდისა და ფერმაში მუშაობისთვის, – ხაზგასმით აღნიშნა ჯენკინსმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

23 თებერვლისათვის

ვერძი – სასიცოცხლო პოტენციალი მაღალია. განსაკუთრებით ნაყოფიერი იქნება დღის მეორე ნახევარი. **კურო** – დღეს მოსალოდნელია ძველი, დავიწყებული კავშირების აღდგენა. ემოციებს გასაქანს ნუ მისცემთ. **ტყუპები** – იმედი გიცრუვდებათ. ნებისმიერი კომერციული საქმიანობა ფინანსურად დაგაზარალებთ. **კირჩხიბი** – ნურაფერს დაგეგმავთ. ეცადეთ, ეს დღე მშვიდ გარემოში გაატაროთ. დაკმაყოფილდით იმით, რაც გაქვთ. **ლომი** – კეთილისმყოფელი დღეა. განსაკუთრებით გიმართლებთ პირად ცხოვრებაში. სასიცოცხლო პოტენციალი მძლავრია. **ქალწული** – უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოპერაციები იღბლიანი იქნება. იღბლიანი დღეა ასევე საყიდლებზე წასასვლელად, სამოგზაუროდ. **სასწორი** – ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. ერიდეთ სარისკო გადაწყვეტილებების მიღებას. ემოციებს ნუ აჰყვებით. **ღრიანკალი** – აქტიური და შემოქმედებითი თვალსაზრისით წარმატებული დღეა. იზრდება თქვენი პიროვნული ხიბლი. **მშვილდოსანი** – ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ. ერიდეთ ფუჭ საუბრებსა და შეხვედრებს. ეცადეთ, მეტი დრო გაატაროთ ბუნების წიაღში. **თხის რქა** – მნიშვნელოვანი საქმეების მოსაგვარებლად კეთილისმყოფელი პერიოდია. დღე რაციონალურად დაგეგმეთ. **მერწყული** – ფინანსური პრობლემების მოგვარება დიდ დროსა და ენერგიას წაგართმევთ. საჭიროების შემთხვევაში დახმარებისათვის კომპეტენტურ ადამიანებს მიმართეთ. **თევზები** – ეცადეთ, გარშემომყოფებთან მშვიდი და ჰარმონიული ურთიერთობა შეინარჩუნოთ. დღის მეორე ნახევარში სასიყვარულო ურთიერთობაში გაურკვევლობა იჩენს თავს.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯვოსვოხდი ↄ



შვეულად: 1. ზესტაფონის ძველი სახელწოდება; 2. ხელოვნური წყალსაცავი დუშეთის რაიონში; 3. არგენტინის ნაკრებისა და „მანჩესტერ სიტის“ ფეხბურთელი; 4. იაპონური ავტომობილი; 5. წითელი ფერის მშრალი ქართული სამარკო ღვინო; 7. სმენადაკარგული ადამიანი; 11. მინერალური წყალი სამეგრელოში; 15. ერთმანეთში შეგროვილი ფულით ქეიფი ძველ თბილისში; 16. ქართული ხალხური ზღაპარი; 17. დავით აღმაშენებლის ქალიშვილი, ბიზანტიის დედოფალი; 18. შავი ზღვის ძველი ბერძნული სახელწოდება; 20. ანტონიო გაუდის მიერ დაპროექტებული პარკი ბარსელონაში; 22. ციხე-სიმაგრე ძველ თბილისში.

თარაზულად: 6. ნაკეთობის შესამკობად გადაკრული ოქროს ან ვერცხლის თხელი ფენა; 8. ექიმის სპეციალობა; 9. ძველებური პოლონური სამეჯლისო ცეკვა; 10. ნახშირის სახატავი ფანქარი; 12. ქალაქის თვითმმართველობის ორგანო; 13. პოემა „სტუმარ-მასპინძლის“ პერსონაჟი; 14. გაუთლელი ხის მორებით ნაგები სახლი სამეგრელოში; 19. ლიტერატურული ნაწარმოების დასკვნითი ნაწილი; 21. ებრაელთა ახალი წლის სახელწოდება; 23. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 24. მომღერალთა გუნდი; 25. ტვინში სისხლის მიმოქცევის მკვეთრი დარღვევა; 26. ღვინის წარმოების ცენტრი სამხრეთ საფრანგეთში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა